ვერსია

№35 (1725) 23 — 29 ოქტომბერი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

როგორ იძია აყვანილმა შვილმა შური გამზრდელ მშობლებზე

სპეცოპერაცია ფულის გამომძალველების წინააღმდეგ – დეტალები

ბიძინა ივანიშვილი: „მნიშვნელოვანია გამოვიჩინოთ სტრატეგიული სიფრთხილე, შევძლოთ მობილიზება და კიდევ ერთხელ გადავარჩინოთ საქართველო“

„ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო შეხვედრა ქუთაისში გამართა

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რატომ მოკლა დამ 60 წლის ძმა

როგორ გავიდა გამოძიება დამნაშავეზე და რა ჩვენება მისცა სამართალდამცავებს ბარის მიმტანმა

რა ქონებას ფლობენ „ახლების“ ლიდერები

ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ელენე ხოშტარიას დეკლარაციები

პოლიციამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ოთხი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში მომხდარ მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, განზრახ მკვლელობისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ოთხი პირი დააკავეს.

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 1993 წელს დაბადებული ი.ბ., ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დაკავებულები არიან: 1987 წელს დაბადებული გ.ბ., 1988 წელს დაბადებული ჯ.ფ. და 1987 წელს დაბადებული დ.მ.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს, თბილისში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლა განახორციელა 1997 წელს დაბადებული ტ.ფ.-ს მიმართულებით, მიღებული დაზიანებების შედეგად, ტ.ფ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო საპასუხო გასროლისას დაიჭრა ი.ბ., რომელიც საავადმყოფოშია მოთავსებული, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ მომხდარ ფაქტს შეესწრნენ ბრალდებულის მეგობრები – გ.ბ., ჯ.ფ. და დ.მ., თუმცა მათ სამართალდამცავ უწყებას დანაშაულის თაობაზე არ შეატყობინეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობას და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს გამოვეხმაუროთ ერთ-ერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც შეეხებოდა მიმდინარე წელს, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებასთან დაკავშირებით გამართული საპროტესტო აქციების დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან სპეციალური საშუალებების კანონდარღვევით გამოყენების ფაქტს.

საზოგადოების ინფორმირების მიზნით, გვსურს განვმარტოთ, რომ აღნიშნული ტელეკომპანიის მიერ, სიუჟეტში გაჟღერებული ინფორმაცია, თითქოსდა, სამინისტრომ დაარღვია „პოლიციის შესახებ“ კანონი მაშინ, როდესაც ერთდროულად გამოიყენა წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი, არის სიცრუე და მოქალაქეების განზრახ შეცდომაში შეყვანის მცდელობა.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს პოლიციის მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების წესებს, რომლის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ცრემლსადენი გაზის გამოყენება დასაშვებია პირზე, პოლიციელზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, მართლწესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად“, ხოლო „წყალსატყორცნი“ სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება მართლწესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ობიექტზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად“.

პოლიციის მიერ გამოყენებული სპეციალური საშუალებების სახე და მისი ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის მიხედვით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ არც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი და არც მის საფუძველზე გამოცემული არც ერთი მოქმედი სამართლებრივი აქტი არ კრძალავს წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის ერთდროულად, ან პარალელურ რეჟიმში გამოყენებას.

მეტიც, ამგვარ აკრძალვას არ ითვალისწინებს ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, როგორებიც არიან ეუთო/ოდირისა (OSCE/ODIHR) და „ამნესთი ინთერნეიშენალის“ (Amnesty International) სახელმძღვანელო დოკუმენტები.

„ამნესთი ინთერნეიშენალის“ სახელმძღვანელო დოკუმენტის თანახმად, წყლის ჭავლში დასაშვებია შეერიოს მარკერული საღებავი ან/და ქიმიური საშუალებები, ხოლო ეუთო/ოდირის გაიდლაინის თანახმად, დასაშვებია წყლის ჭავლში ცრემლსადენი გაზის დამატება და მათი გამოყენება ძალადობრივ ქმედებებში ჩართული პირების მიმართ. ამავე დოკუმენტის თანახმად, ცრემლსადენი გაზის გამოყენების ერთადერთი მიზანი უნდა იყოს შეკრების დაშლა და იგი არ უნდა გამოიყენონ ისეთ ადგილას, სადაც ხალხს არ ექნება ადგილიდან გასვლის შესაძლებლობა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ძალადობრივი შეკრება-მანიფესტაციის მართვის დროს, იყენებს ისეთ სპეციალურ საშუალებებს, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან და აქტიურად გამოიყენება არაერთი ევროპული ქვეყნის საპოლიციო დანაყოფების მიერ.

გავრცელებული ცრუ ინფორმაცია მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანმიმართულ დისკრედიტაციას.

რუსთავში მდებარე ე.წ. „სტამბოლის ბაზრის“ ტერიტორიაზე, ოთხი პირის მკვლელობის ფაქტზე ბრალდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და რუსთავში მომხდარი ოთხი პირის მკვლელობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2024 წლის 9 თებერვალს, რუსთავში მდებარე ე.წ. „სტამბოლის ბაზრის“ ტერიტორიაზე, ბრალდებულმა, შურისძიების მოტივით, მისი ძმის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით, ხუთ დაზარალებულს სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც ოთხი დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ერთის გადარჩენა დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად მოხერხდა.

„სამართალდამცველებმა ბრალდებული 9 თებერვალს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით და 19, 109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა და განზრახ მკვლელობის მცდელობა ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ, ისეთი საშუალებით რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას) წარედგინა.

სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე არაერთი შეტყობინება შემოვიდა, სადაც მოქალაქეები მიუთითებენ, რომ უწყების სახელით, გაურკვეველი შინაარსის შეტყობინება მიიღეს.

მოქალაქეების ინფორმირების მიზნით, გვსურს განვმარტოთ, რომ არანაირი შეტყობინება არ არის დაგზავნილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან და მოქალაქეებს მოვუწოდებთ, არ შევიდნენ შეცდომაში.

ასევე, განვმარტავთ, რომ აღნიშნული ფაქტი შესწავლილი იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ.

ბიძინა ივანიშვილი: „მნიშვნელოვანია გამოვიჩინოთ სტრატეგიული სიფრთხილე, შევძლოთ მობილიზება და კიდევ ერთხელ გადავარჩინოთ საქართველო“

„ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო შეხვედრა ქუთაისში გამართა

არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, მმართველმა პარტიამ წინასაარჩევნო შეხვედრა ქუთაისში გამართა. მოსახლეობას „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა და პარტიის საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა მიმართა:

„მივესალმები ქუთაისს, ჩემს მშობლიურ იმერეთს და უსაყვარლეს იმერლებს!

მივესალმები განსაკუთრებული სიტყვა-პასუხით და სტუმარ-მასპინძლობით განთქმულ ხალხს! მივესალმები ერთ-ერთ უძველეს ევროპულ ქალაქს, ქუთაისს, რომელიც თავად არის ისტორია, კულტურა, საქართველო!

ჩვენი ქვეყნისთვის ქუთაისი მთავარი დასაყრდენი იყო ოდითგან! სწორედ ქუთაისში ეკურთხა მეფედ დავით აღმაშენებელი, სწორედ ქუთაისიდან დაიწყო ჩვენმა უდიდესმა წინაპარმა ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და სწორედ ქუთაისი იყო ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა!

გელათის აკადემია და ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, აკაკი წერეთელი, ზაქარია ფალიაშვილი, „ცისფერყანწელები“ და, რა თქმა უნდა, გალაკტიონი! თითქოს მეტი რა უნდა მისცეს ქართულ კულტურას ერთმა კუთხემ, ერთმა მხარემ, მაგრამ ქუთაისმა და იმერეთმა გაცილებით, გაცილებით მეტი შეძლო. ბოლოს და ბოლოს, ხომ ვიცით, რომ სულ რაღაც საუკუნის წინ, სწორედ ქუთაისმა შესძინა თბილისის კულტურულ ცხოვრებას ახალი სიცოცხლე! ამ ქალაქის საამაყო შვილი, დიდი რეზო გაბრიაძე ამბობდა: – „მაშინაც კი, როდესაც პარიზზე ვწერ, მაინც ქუთაისზე დაწერილი გამომდის... ქუთაისელები მსუბუქად იღიმებიან, მსუბუქად ტირიან, მათი გრძნობები და ურთიერთობებიც უფრო მსუბუქია“... დავამატებდი, რომ როდესაც საქმე სამშობლოს, ღირსებას და ჩვენი ქვეყნის მომავალს ეხება, ამ ქალაქისა და კუთხის შვილები ყოველთვის განსაკუთრებული პრინციპულობით და სიმკაცრით გამოირჩევიან!

ასე იყო 2012 წელსაც, როდესაც საქართველოს და, ზოგადად, ქართველების ყოფნა-არ ყოფნის საკითხი წყდებოდა, როდესაც ქვეყანაში ჯოჯოხეთური ტერორი იყო გამეფებული და ადამიანებს აზრის გამოთქმისა და პროტესტის გამოხატვის კი არა, თავისუფლად სუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ.

დღეს, აქ, უამრავ ჩვენს ძველ და უკვე ახალ თანამებრძოლს ვხედავ, რომელთაც ისე, როგორც ჩვენს ხალხს, არ სჭირდება იმის ახსნა, თუ როგორ ქვეყანაში ვცხოვრობდით 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, თუმცა ახალგაზრდების ნაწილს, რომელთაც შესაძლოა აფიქრებინონ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის შეფასება გადაჭარბებულია, მოკლედ შევახსენებ:

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, როდესაც ძალაუფლება გარედან მართული რეჟიმის ხელში იყო კონცენტრირებული, საზოგადოებაზე წნეხი და ძალადობა, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, კერძო საკუთრების წართმევა და მითვისება, მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევა საქართველოს ყოველდღიურობად იყო ქცეული! იმჟამინდელმა ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს ღირსება წაართვა, ციხე და მართლმსაჯულების სისტემა წამების ინსტრუმენტად აქცია, ხოლო თუკი ვინმეს განსხვავებული პოლიტიკური აზრი ჰქონდა, უკანონო პატიმრობითა და ჯოჯოხეთის გამოტარებით სჯიდა!

მკვლელობა და წამება რომ არ აკმარეს მოსახლეობას, 2008 წელს, უარესი ტრაგედიაც დაატრიალეს, ქვეყანას უღალატეს და საქართველო ომში ჩაითრიეს, რასაც დამატებით ტერიტორიების დაკარგვა, ათეულობით ათასი დევნილი, ასზე მეტი დაკარგული სოფელი, ასობით გმირი მებრძოლისა და მშვიდობიანი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი: „მნიშვნელოვანია გამოვიჩინოთ სტრატეგიული სიფრთხილე, შევძლოთ მობილიზება და კიდევ ერთხელ გადავარჩინოთ საქართველო“

მე-3 გვერდიდან

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ კი, ამ ხალხმა კვლავ გააგრძელა ანტიეროვნული პოლიტიკა და ახლა უკვე საზოგადოების გახლეჩის, არეულობისა და გადატრიალების მოწყობის მუდმივი მცდელობებით, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟით მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს, მათ შორის, ევროინტეგრაციის კუთხით!

ქართველი ხალხის მიერ ძალაუფლებაჩამორთმეული „ნაციონალური მოძრაობა“ დამოუკიდებლად ამას, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებდა... მათი უცხოელი პატრონების მხარდაჭერით, ეს ანტისახელმწიფოებრივი ძალა, დღეს უკვე კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც, რეალურად, უსამშობლოებისა და კრიმინალების უკანასკნელი თავშესაფარია, იქცა საქართველოს გრძელვადიანი და სტაბილური განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად. დაჯგუფებად, რომელიც ვიწროპარტიული პოლიტიკური ინტერესებისა და უცხოელი პატრონების დავალებების გათვალისწინებით, მზადაა საქართველოში მეორე ფრონტი გახსნას. დაჯგუფებად, რომლის გამოც ქართული პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება ვერ ხერხდება და უკვე წლებია, ჩვენს მოქალაქეებს არა კარგსა და უკეთესს, არამედ, კარგსა და ცუდს შორის უწევთ არჩევანის გაკეთება!

მათ კრიმინალურ და ანტისახელმწიფოებრივ ბუნებასა და დანაშაულებზე კიდევ დიდხანს, დიდხანს შეიძლება საუბარი, თუმცა მათ რაობაში ბრძენი ქართველი ხალხი უკვე დიდი ხანია დარწმუნდა. სწორედ ამას მოწმობს ის, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, „ქართული ოცნება“ ქართველი ხალხის ერთადერთი, უალტერნატივო არჩევანია!

ალბათ, გახსოვთ, რომ 12 წლის წინ, თქვენ წინაშე სიტყვით გამოსვლისას, ქუთაისში, საქართველოს მამა-ქალაქში, დავდეთ პირობა, რომ ერთად ვიბრძოლებდით ჩვენი სამშობლოსთვის, ჩვენი უფლებებისთვის, ჩვენი ოჯახებისთვის... პირადად მე სიტყვა მოგეცით, რომ იმ უთანასწორო ბრძოლაში, ბოლომდე თქვენ გვერდით ვიდგებოდი!

ჩვენი ერთობით, სიმართლით და ერთმანეთის რწმენით გავიმარჯვეთ და შევძელით ყველასთვის დაგვენახებინა, რომ საქართველო იყო, არის და იქნება თავისუფალი ადამიანების სამშობლო, დემოკრატიული, განვითარებული ქვეყანა, სადაც ვერავინ, ვეღარასოდეს შეძლებს ავტორიტარული რეჟიმის დამყარებას!

ამ დღიდან მოყოლებული, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ავაშენეთ სახელმწიფო, რომელიც ამ ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ადამიანის, თითოეული მოქალაქის ღირსებას ეფუძნება, განურჩევლად მისი ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ტიპის კუთვნილებისა. შედეგად, ვცხოვრობთ დემოკრატიაზე, სამართლის უზენაესობასა და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დამყარებულ ქვეყანაში, სადაც დაცულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, აზრისა და სიტყვის თავისუფლება; გვაქვს გაჯანსაღებული სასამართლო, დამოუკიდებელი მედია, ხელშეუხებელი ბიზნესი... ხალხი თავისუფლად სუნთქავს და აღარავის აქვს პოლიტიკური დევნის შიში.

„ქართულმა ოცნებამ“ შეძლო, რომ გააზრებული პოლიტიკით, კარგად გათვლილი რეფორმებით, საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვლილიყო. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ პრინციპულად გავაუმჯობესეთ მდგომარეობა ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით, იქნება ეს ადამიანის უფლებები, სასამართლო, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, განათლება თუ სხვა.

მოგეხსენებათ, 7 ოქტომბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებას უკვე გააცნო ჩვენი გუნდის მიღწევები და ამბიციური, თუმცა რეალისტური პროგრამა, რომელიც საოცრად შთამბეჭდავია და უზომოდ სასიხარულოა საქართველოს თითოეული პატრიოტისთვის!

თუმცა, თუკი მავანი „ქართული ოცნების“ პროგრესს არ ხედავს, ან ჩვენს სტატისტიკას და მონაცემებს არ ენდობა, შეუძლია, გადახედოს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების რეიტინგებს, რომლებშიც ჩვენი ქვეყანა წინ და წინ მიიწევს. ამაზე ბათუმსა და ზუგდიდში გამართულ შეხვედრებზე უკვე დეტალურად ვისაუბრე; საქართველოს მოსახლეობა ამას საკუთარი თვალით ხედავს და უკიდურესად მიკერძოებული ოპონენტიც კი ვერ გაბედავს ჩვენი გუნდის მიერ 11 წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესის უარყოფას, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებიც უმაგრებს ზურგს. ამ კვლევების მიხედვით კი, საქართველო ხან საუკეთესო ქვეყნების ხუთეულშია, ხან – სამეულში, ზოგჯერ კი, სულაც საუკეთესოა მსოფლიოში! სწორედ „ქართული ოცნების“ სწორი პოლიტიკის შედეგია წარსულის შთამბეჭდავი მიღწევები და მსოფლიო სავალუტო ფონდის ის სამომავლო პროგნოზი, რომლის თანახმადაც, ათწლიანი ზრდის სამი მთავარი მიმართულებით, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს საუკეთესო სამეულშია!

ეს იმას ნიშნავს, რომ 2030 წლისთვის, მაღალი ალბათობით, საქართველო გახდება მაღალშემოსავლიანი სტატუსის მქონე ქვეყანა მსოფლიო ბანკის გრადაციით და ჩვენ ამაყად, თავაწეულნი შევაბიჯებთ ევროკავშირის მდიდარი ქვეყნების რიგში.

რაც ყველაზე მთავარია, ამ პროგრესის მთავარი წინაპირობა გახლავთ ის, რომ „ქართული ოცნება“ ჩამოყალიბდა ერთადერთ პოლიტიკურ ძალად საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელმაც ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაშიც კი, რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ფონზე, ქვეყანას ასე სანუკვარი რამ – 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა მოუტანა!

ეს არის ფაქტობრივი მოცემულობა, რომლის დამალვას, დამახინჯებას და იგნორირებას ცდილობენ ჩვენი ოპონენტები, თუმცა ქართველი ხალხი ყველაფერს საკუთარი თვალით ხედავს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, 26 ოქტომბერს, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში დგება დღე, რომელსაც ისეთივე ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, როგორც 2012 წლის 1 ოქტომბერს, რადგან 26 ოქტომბრის არჩევნები ერთგვარი რეფერენდუმია, რომელზეც არა მხოლოდ კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“, არამედ, მათ უცხოელ პატრონებს, საბოლოო ჯამში კი, მთელ მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რომ საქართველოს მოსახლეობა ერთხმად ირჩევს არა ომს, არამედ – მშვიდობას; არა ფსევდო-ლიბერალურ, თავსმოხვეულ ღირებულებებს,

დასასრული მე-5 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი: „მნიშვნელოვანია გამოვიჩინოთ სტრატეგიული სიფრთხილე, შევძლოთ მობილიზება და კიდევ ერთხელ გადავარჩინოთ საქართველო“

მე-4 გვერდიდან

არამედ – ოჯახურ ფასეულობებს, რწმენას და ტრადიციებს; არა სხვა ქვეყნების უპირობო მორჩილებას, არამედ – სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას; არა ცალ ფეხზე დგომას, არამედ – ღირსეულ ევროპულ მომავალს; არა საკუთარი ქვეყნისთვის ომის ტრაგედიის თავს დატეხას, არამედ – ურთიერთშერიგების, საკუთარი ქმედებების გააზრებისა და ერთმანეთისთვის ხელის გაწვდენით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას!

იმისთვის, რომ გრძელვადიანი მშვიდობა და სტაბილური განვითარება უზრუნველვჰყოთ, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაა საჭირო! საზოგადოების მხრიდან მონიჭებული ამ ხარისხის ლეგიტიმაცია, ფაქტობრივად, ჩანასახშივე ჩაახშობს რევოლუციისა და გადატრიალების გზით ძალაუფლების დაბრუნების, შემდეგ კი საქართველოს ომში ჩართვის მიზნის მქონე კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობისა“ და მათი უცხოელი პატრონების გეგმებს!

ამას გარდა, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, ქვეყნის უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტის დონეზე ავკრძალავთ და საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილი, მათ შორის, ომის დანაშაულის გამო, კანონის სრული სიმკაცრით ვაგებინებთ პასუხს „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის სატელიტ თუ მემკვიდრე პარტიებს.

ქუთაისში ვიმყოფებით და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ქალაქის შვილებს, რომლებიც ქართულ კულტურას უკვე საუკუნეებია ამდიდრებთ, არ გესწავლებათ, რომ ერის მთავარი დასაყრდენი ის ღირებულებები და ფასეულობებია, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეების განმავლობაში შემოგვინახეს.

საქართველოში მოქმედ „არასამთავრობო ორგანიზაციებსა“ და პოლიტიკურ პარტიებში გაბნეული ფსევდო-ლიბერალური იდეოლოგიის მქონე აგენტურის ერთ-ერთი მთავარი სამიზნეც სწორედ ეს არის – მათ ზუსტად იციან, რომ ერის დაკნინება და მარტივად დამორჩილება მხოლოდ საკუთარი წარსულის დავიწყებით, ისტორიის გაუფასურებითა და მორალური პრინციპების გაბუნდოვანების გზით არის შესაძლებელი. ეს სერიოზული პრობლემაა, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას. ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვება გვჭირდება, რათა არასრულწლოვანთა ინტერესებისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის საკითხი კონსტიტუციის დონეზე გავამყაროთ!

ბუნებრივია, ის ხალხი, ვინც ჩვენს ტრადიციებს ებრძვის, განსაკუთრებულ აგრესიას იჩენს ჩვენი თვითმყოფადობის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენის – მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. არადა, ჩვენი ქვეყნის ევროპულობა, მნიშვნელოვანწილად, სწორედ იმან განსაზღვრა, რომ საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა! მჯერა, რომ განსხვავებულის მიმღებლობა და ტოლერანტობა, ასე კარგად რომ ახასიათებს ჩვენს ერს, ქართველი კაცის ხასიათთან ერთად, საუკუნეების განმავლობაში, ჩვენში ღრმად გამჯდარი ქრისტიანული რწმენის დამსახურებაა.

ამიტომაც, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, მართლმადიდებლური ეკლესიის გაძლიერებისა და დაცვის მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯებს გადავდგამთ და ამ საკითხს კონსტიტუციაში ავსახავთ! თუმცა, რა თქმა უნდა, ამით საქართველოში მოქმედი არცერთი რელიგიური კონფესიის უფლება მინიმალურადაც კი არ შეიზღუდება, რისი გარანტიც იყო, არის და იქნება „ქართული ოცნების“ ხელისუფლება.

დასასრულს კი, ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რის გამოც არჩევნებზე ქუდზე-კაცი უნდა გამოვიდეთ და „ქართულ ოცნებას“ დავუჭიროთ მხარი – რეგიონში და მთლიანად მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ფონზე, ნებისმიერ მომენტში, შესაძლოა, გაჩნდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა! ამიტომაც, არავის უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ საჭირო დროს, წინ აღუდგეს საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც საქართველოს მშვიდობიანი გზით გამთლიანებისთვის არის აუცილებელი, რადგან თავადაც კარგად იცით, რომ კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოსთვის სასარგებლო თითოეულ საქმეს ეწინააღმდეგება, ყველაზე დიდ აგრესიას კი ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობით, შერიგებითა და ურთიერთმიტევების გზით აღდგენის წინააღმდეგ გამოხატავენ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, 26 ოქტომბერს, საქართველოს მოსახლეობას მარტივი არჩევანი აქვს გასაკეთებელი – ან კოლექტიური რადიკალური ოპოზიცია, სადაც თავმოყრილნი არიან უსამშობლო მოღალატეები, რომლებმაც საკუთარი თავები ომის, არეულობის, ძალადობის, ტყუილისა და უცხო ინტერესების მორჩილების სიმბოლოდ აქციეს, ან „ქართული ოცნება“ – ეროვნული პოლიტიკური ძალა, რომელიც წლებია, ემსახურება ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს და არის კეთილდღეობის, სტაბილურობის და ღირსეული ევროპული მომავლის გარანტი.

ქართველებს, ამ ქვეყნის შვილებს, არაფრის გვეშინია, არც წარსულის – იმიტომ, რომ სახელოვანი წინაპრები და ისტორია გვიმაგრებს ზურგს და არც მომავლის – იმიტომ, რომ ეს მომავალი ჩვენს ხელშია!

ვფიქრობ, განსაკუთრებით დღევანდელ ვითარებაში, მნიშვნელოვანია გამოვიჩინოთ სტრატეგიული სიფრთხილე, იმერული გონიერება, შევძლოთ მობილიზება და კიდევ ერთხელ გადავარჩინოთ საქართველო, შემდეგ კი ჩვენივე დაწყებული საქმე ერთად მივიყვანოთ ბოლომდე და ღირსეულად, თავაწეულებმა შევაბიჯოთ ევროპის ღირსეულ ოჯახში!

და ბოლოს, თქვენ წინაშე გამოსვლა, ჩემი კუთხის შვილის, ყველასათვის უსაყვარლესი მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით მინდა დავასრულო:

„სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო,
ვინც საქართველოს
ესწრაფვის ქართულს!
არა ცრუ ქართულს!
ნამდვილად ქართულს!
სიტყვითურთ ქართულს!
საქმითურთ ქართულს!“

ჩემო იმერლებო, 26 ოქტომბერს, სამუდამოდ დავასრულოთ ცრუ ქართველების ბოგინი ჩვენს საქართველოში. გაუმარჯოს დამოუკიდებელ, ერთიან და გაბრწყინებულ საქართველოს! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!“

რა ქონებას ფლობენ „ახლების“ ლიდერები

მაკა რუხაძე

სინამდვილეში, ისინი „ახლები“ კი არა, კარგად დაძველებული პოლიტიკური ფიგურები არიან. პოლიტიკას – არა, მაგრამ დაძველება ღვინოს და კონიაკს უხდება, ამიტომ ამ ნაწილში „ახალს“ ვერაფერს გეტყვით, ოღონდ ერთს კი აღვნიშნავ – მათმა გაერთიანებამ დიდი რუსი მეიგავის, ივანე კრილოვის „გედი, კალმახი და კიბო“ გამახსენა. დიახ, ზუსტად ივანე კრილოვის, რადგან გაგიკვირდებათ და, პროევროპულობას ჩემულობენ ადამიანები, რომლებიც მთელი თავისი არსით დიად რუსულ საქმეს აკეთებდნენ ყოველთვის. ნიკა გვარამია სააკაშვილის პრეზიდენტობის დროინდელი მინისტრი იყო; ზურაბ გირჩი ჯაფარიძე რუსულ ოკუპაციას შარვალჩახდილი, შიშველი უკანალით აპროტესტებდა და ჯარისგან „იცავდა“ იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლის 20% რუსეთის მიერ არის ოკუპირებული; ელენე ხოშტარია კი „მგიმო“-ს სტუდენტი გახლდათ და არ დაგავიწყდეთ, რომ დიპლომატების ეს რუსული სამჭედლო ანუ „მგიმო“, რეალურად, საბჭოთა კავშირის დროს – „კა გე ბე“-ს აგენტებს ზრდიდა, ხოლო ამჯერად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის ხელის გოგო-ბიჭებს ზრდის!

ვინაიდან „ვერსიის“ მკითხველებმა ნიკა გვარამიასა და ნიკა მელიას ბიოგრაფიაც კარგად იციან და მათი ქონებრივი მდგომარეობაც, ამჯერად ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ელენე ხოშტარიას დეკლარაციებს გთავაზობთ. ნიკა მელია კარგად იყოს, მაგრამ თავად განსაჯეთ, ამ დიადი სამეულიდან რომელია გედი, რომელი – კალმახი და რომელი – კიბო...

ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ელენე ხოშტარიას დეკლარაციები

ზურაბ გირჩი ჯაფარიძის ბიოგრაფია

ქართული „ვიკიპედიის” ცნობით, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე დაიბადა 1976 წლის 1 იანვარს. 1999 წელს, დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი – „მომავლის ექიმი“, ზოგადი პროფილის ექიმის სპეციალობით; 2005 წელს, დაამთავრა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (სახელმწიფო მმართველობა) და შემდეგ ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა; 2005-2011 წლებში, ლექციებს კითხულობდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და საქართველოს უნივერსიტეტში; 2012-2015 წლებში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო; 2012-2016 წლებში, საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი გახდა, პარტიული სიით და საარჩევნო ბლოკით: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – „მეტი სარგებელი ხალხს“; 2013 წელს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ზურაბ ჯაფარიძეს საპრეზიდენტო არჩევნებში თავის კანტიდატად განიხილავდა, მაგრამ პარტიამ საბოლოოდ მხარი დავით ბაქრაძეს დაუჭირა. პარტიის დატოვებამდე, მისი აღმასრულებელი მდივანი იყო; 2015 წლის მაისში, პავლე კუბლაშვილთან, გიორგი ხაჩიძესთან და გიორგი მელაძესთან ერთად, დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“ და ჩამოაყალიბა ახალი პოლიტიკური პარტია „გირჩი“; 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში, კენჭს იყრიდა დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარულ ოლქში, „გირჩის“ სახელით.

2016 წელს, დააფუძნა პოლიტიკური პარტია „გირჩი“. პარტია საქართველოში, მარიხუანის ლეგალიზაციის მთავარი ინიციატორი იყო და ამის ნიშნად, პარტიის ოფისში, დარგეს მარიხუანა. არის „გირჩის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი. 2020 წლის 18 დეკემბერს, განაცხადა, რომ აფუძნებდა მეორე პოლიტიკურ პარტია „გირჩს“. ამის მიზეზი გახდა პარტიის შიგნით არსებული განხეთქილება და პარტიის გაყოფა. 2020 წლის 11 დეკემბრიდან 2021 წლის 16 ნოემბრამდე, საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო პარტიული სიით და საარჩევნო ბლოკით: „გირჩი“.

2018 წლის 16 აპრილს, ზურაბ ჯაფარიძემ დაადასტურა, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში „გირჩის“ კანდიდატი იქნებოდა; 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, ჯაფარიძემ პორნო-საიტ Pornhub-ზე საკუთარი საარჩევნო ბანერები განათავსა: „მეტი სექსი, მეტი თავისუფლება“; „მე არ გპირდებით ზომის გაზრდას“. გირჩი საიტზე საკუთარი რეკლამის განთავსების მიზეზად მცირე ბიუჯეტის ეფექტიანად ხარჯვას ასახელებდა.

ზურაბ გირჩი ჯაფარიძის ქონება

2022 წლის 16 ნოემბერს, ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს პარლამენტის მანდატი შეუწყვიტეს. მის ნაცვლად, დეპუტატი გირჩის „მეფე“, ჰერმან საბო გახდა. რაც შეეხება ქონებრივ დეკლარაციას, ვიდრე მანდატს შეუწყვეტდნენ, გირჩი ჯაფარიძე ქონებრივი დეკლარაციის არშევსების გამო, 1 000 ლარით დააჯარიმეს. შესაბამისად, ყველაზე ახალი ანუ ბოლოს შევსებული დეკლარაცია 2016 წლის 6 იანვარით თარიღდება.

ამ დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს ჰყავს მეუღლე – ნატა ქორიძე და შვილები – ალექსანდრე რაზმაძე და ეკატერინე ჯაფარიძე. დეკლარაციის შევსების მომენტში არა, მაგრამ წყვილს მესამე შვილიც ჰყავთ – კოსტა ჯაფარიძე.

დეკლარაციაში მითითებულია, რომ გირჩი ჯაფარიძის საკუთრებაშია 105 კვ.მ. ფართობის ბინა თბილისში, გაბაშვილის ქუჩაზე, ხოლო მეუღლე – ნატა ქორიძე ფლობს 78 კვ.მ. ფართობის ბინას თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე. თიბისი ბანკში, ზურაბ ჯაფარიძეს 25 496 აშშ დოლარის ანაბარი, ხოლო საქართველოს ბანკში, ნატა ქორიძეს – 16 413 აშშ დოლარის ანაბარი ჰქონია.

ზურაბ ჯაფარიძის, როგორც პარლამენტის წევრის შემოსავალი 60 285 ლარი ყოფილა, ხოლო ნატა ქორიძის, როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში, ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხთა კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის შემოსავალი – 44 660 ლარი.

როგორც აღვნიშნეთ, დეკლარაცია შევსებულია 2016 წელს, მას შემდეგ შვიდი წელი გავიდა და ცხადია, ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვლებოდა, თუმცა ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს არ დაუდეკლარირებია.

ელენე ხოშტარიას ბიოგრაფია

ელენე ხოშტარია დაიბადა თბილისში, 1979 წლის 18 ნოემბერს. უმაღლესი განათლება მოსკოვში მიიღო, კერძოდ, „მგიმო“-ში (საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტი), რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით დაამთავრა.

2002 წელს იყო სტაჟიორი ადამიანის უფლებების „მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფისა“ და რუსეთის ფედერაციაში აკრედიტებულ საქართველოს საელჩოში; 2004 წლიდან, ჯერ საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორია, შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი შსს-ში, მოგვიანებით კი საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის უფროსის მოადგილეა; 2004-2006 წლებში, ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსია; 2007-2012 წლებში, ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილეა; 2012-2016 წლებში, „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“ GRASS; 2016-2020 წლებში, საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; 2020-2022 წლებში, საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკიდან: „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“; 2020 წლის 28 დეკემბერს, პარტია „ევროპული საქართველო“ დატოვა, ხოლო 2021 წლის 8 მარტს, პოლიტიკური მოძრაობა „დროა“ დააარსა.

რა ქონებას ფლობს ელენე ხოშტარია

რაც შეეხება ქონებას, როგორც პარლამენტის ყოფილმა წევრმა, ქონებრივი დეკლარაცია 2023 წლის 29 აპრილს შეავსო. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ელენე ხოშტარიას მეუღლე, ირაკლი ბერიძე 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით ფლობს 1 500 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთს გარდაბანში, სოფელ ახალ სამგორში, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო. გარდა ამისა, ირაკლი ბერიძის საკუთრებაშია 185.36 კვ.მ. ფართობის ბინა საბურთალოზე, რომელიც 2011 წელს, 145 000 აშშ დოლარად შეუძენია.

ირაკლი ბერიძის საკუთრებაშია რამდენიმე ბინა და აგარაკი, კერძოდ: 1 502 კვ.მ. ფართობის აგარაკი ტაბახმელაში, რომელიც 2021 წელს, მისთვის უჩუქებიათ. სინამდვილეში, 2021 წლამდე, ეს უძრავი ქონება ელენე ხოშტარიას საკუთრებაში იყო და მართალია, დეკლარაციაში მითითებული არაა, ვინ აჩუქა, თუმცა ცხადია, რომ ეს აგარაკი ელენე ხოშტარიამ გადაუფორმა მეუღლეს; კიდევ ერთი ბინა საბურთალოზე, ამჯერად, 60 კვ.მ. ფართობის, რომელიც 2013 წელს, 45 000 აშშ დოლარად შეუძენია; 5 179 კვ.მ. ფართობის აგარაკი თელავში, სოფელ იყალთოში, რომელიც 2021 წელს უჩუქებიათ (ესეც ელენე ხოშტარიას საკუთრება იყო); 46.9 კვ.მ. ფართობის ბინა ბაკურიანში, რომელიც 2020 წელს, 71 920 აშშ დოლარად შეუძენია და ბინა საბურთალოზე, რომლის 25%-იან წილს ფლობს, ამ ბინის თანამესაკუთრეები ირაკლი ბერიძის მშობლები არიან.

ირაკლი ბერიძის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომანქანა, 2009 წლის „ტოიოტა პრიუსი“, რომელიც 2017 წელს, 17 800 ლარად შეუძენია.

იმის დასადასტურებლად, რომ ირაკლი ბერიძის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების მფლობელი მართლაც ელენე ხოშტარია იყო, გთავაზობთ 2020 წლის ქონებრივ დეკლარაციას. ირკვევა, რომ ელენე ხოშტარია ფლობს 5 179 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთს და 180.6 კვ.მ. ფართობის სახლს კახეთში, იყალთო, რაშიც 2010 წელს, 10 000 აშშ დოლარი გადაუხდია. ელენე ხოშტარიას საკუთრებაშია 1 502 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი ტაბახმელაში, რომელიც 2014 წელს, 15 000 აშშ დოლარად შეუძენია. 2015 წელს, ზუსტად ამავე ტერტორიაზე, ელენე ხოშტარიამ შეიძინა 423 კვ.მ. ფართობის სახლიც, რომლის ღირებულება 170 000 ლარია.

როგორ გაიფლანგა სახელმწიფო ფული ხობის მუნიციპალიტეტში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის დასკვნა, რომელსაც პროკურატურა სწავლობს

„ვერსია“ აგრძელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ ანგარიშების შეხსენებას, რომლებიც უწყებამ გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. ამჯერად, ხობის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტს გთავაზობთ. თუმცა, ვიდრე იმ ხარვეზებს გაგაცნობთ, რომლებიც სახელმწიფო მაკონტროლებლებმა გამოავლინეს, ჯერ ზოგად ინფორმაციას გავეცნოთ ხობის მუნიციპალიტეტზე. ხობის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 22 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს 57 სოფელსა და ადმინისტრაციულ ცენტრს – ქალაქ ხობს. მუნიციპალიტეტის ფართობია 676 კვ.კმ., ხოლო მოსახლეობის რიცხოვნობა – 27 800 კაცი. 2020-2021 წლებში, ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 5 631 000 ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 19 879 800 ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა – 1 172 300 ლარი; განათლება – 4 689 400 ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 2 215 400 ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 1 640 900 ლარი.

ხარვეზები ფინანსური რესურსების მართვაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2020-2021 წლების შემოსულობებმა 37 517 500 ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 35 228 800 ლარი შეადგინა. ორივე საბიუჯეტო წლისთვის მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა ბიუჯეტის, როგორც შემოსულობების, ასევე, გადასახდელების მუხლები. კერძოდ, ხობის მერიამ სათანადოდ ვერ დაგეგმა შემოსავლების მოსალოდნელი შესრულება და 2020-2021 წლებში, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებამ ჯამში 2 196 600 ლარი შეადგინა.

„შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტმა კონკრეტულ საბიუჯეტო წლებში არ გაითვალისწინა მნიშვნელოვანი ფულადი რესურსის ათვისება; ხობის მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები და ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სკოლების, სპორტული მოედნების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები; შეუსაბამოდ დაიგეგმა ან/და არ ჩატარდა კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებები.

საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო დაგეგმვისა და შესრულების გამო, ხობის მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 2 647 300 ლარი. 2020 წლისათვის დაიგეგმა 2 628 000 ლარის ათვისება, თუმცა ნაშთის ცვლილებით გამოწვეულმა ფულადი სახსრების დაგროვებამ 1 133 800 ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 3 781 100 ლარის ნაშთი, საიდანაც 1 282 700 ლარი თავისუფალი ნაშთია. 2021 წელს, მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 3 093 900 ლარის ათვისება, თუმცა დააგროვა 1 154 900 ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 4 936 000 ლარი შეადგინა, საიდანაც 1 620 800 ლარი თავისუფალი ნაშთია“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2020-2021 წლებში, ხობის მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველჰყო სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების, ასევე, ვალდებულებების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი, მათ შორის, თავისუფალი ნაშთი. ყოველივე ეს მიუთითებს ხობის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ 2020-2021 წლებში, ხობის მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა 115 ხელშეკრულებით, ღირებულებით – 23 863 700 ლარი. მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოს მიმღები ჯგუფი. ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის მიერ გაცემული დასკვნების გათვალისწინებით, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა დადებითი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

„აუდიტის ჯგუფმა ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, რის შედეგად გამოვლინდა დაზიანებული ობიექტები. მაგალითად, მუნიციპალიტეტმა 2020 წელს შეისყიდა შავღელეს ადმინისტრაციული ერთეულის შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაო, ღირებულებით – 2 498 900 ლარი. გზის ორი მონაკვეთი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული.

გარდა ამისა, ხარვეზები გამოვლინდა 10 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 3 743 700 ლარია. კერძოდ, დაზიანებულია საგზაო, განათლების, სპორტისა და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. როგორც გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას, სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. შედეგად, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, ძირითადად აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომელთა გამოვლენა საექსპერტო დაწესებულებას ვალდებულებაა. დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს აღნიშნული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია“.

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების დათვლიერებისას, სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს, რომ მათი საგარანტიო ვადები არ იყო გასული. მიუხედავად ამისა, მერიის შესაბამის სამსახურს ყველა ობიექტის მონიტორინგი არ განუხორციელებია, რაც ხობის მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემდა გამოეკვლია დაზიანების მიზეზები და მიმწოდებლებისათვის მოეთხოვა დაზიანებების გამოსწორება. შესაბამისად, ხობის მერიამ არ გამოიყენა ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლება და არ უზრუნველყო არსებული წუნის მიმწოდებელი ორგანიზაციების სახსრებით აღმოფხვრა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ხობის მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, ხობის მერიამ ჩაიბარა 6 242 600 ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლუატაციაში მიღებიდან მოკლე დროში დაზიანდა და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, არ გამოავლინა მათზე პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

2019-2020 წელს, ხობის მუნიციპალიტეტმა ორი ხელშეკრულების ფარგლებში დააფინანსა სოფლების გზების ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები. ორივე შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა დაუსაბუთებლად მოახდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის პროცესი წარმართა შეზღუდული კონკურენციის გარემოში. შედეგად, მუნიციპალიტეტმა, საეარაუდოდ, 321 600 ლარი დახარჯა არაეკონომიურად.

„2019 წლის 14 იანვარს, ხობის მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადა ახალი ხიბულისა და საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის ცემენტო-ბეტონით საფარით მოწყობის სამუშაოებზე.

დასასრული მე-8 გვერდზე

როგორ გაიფლანგა სახელმწიფო ფული ხობის მუნიციპალიტეტში

მე-7 გვერდიდან

სავარაუდო სატენდერო ღირებულება შეადგენდა 1 590 800 ლარს. დოკუმენტაციის მიხედვით, მიმწოდებელს უნდა ჰქონოდა ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის 5 726 800 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების გამოცდილება. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, ანალოგიურ სამუშაოებად განიხილებოდა „გზების მოწყობა/რეაბილიტაცია". შესყიდვაში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა – შპს „შარა-გზამშენი პირველმა" და დააფიქსირა 1 272 600 ლარის შეთავაზება. საწარმომ გამოცდილების სახით წარმოადგინა გზების მოწყობა/რეაბილიტაციაზე შესრულებული 11 439 600 ლარის სამუშაოები, მათ შორის, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით შესრულებული 2 160 800 ლარის ღირებულების ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაო. სატენდერო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და არასაკმარისად ჩათვალა გამოცდილება. კერძოდ, კომისიამ სრული 5 726 800 ლარის გამოცდილება მოითხოვა მხოლოდ გზის ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოებზე, რასაც სატენდერო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებდა".

პრეტენდენტმა სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება (ოქმი), რომლითაც ანალოგიური სამუშაოების გამოცდილებად მოთხოვნილი იყო მხოლოდ გზის ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობა, გაასაჩივრა დავების განხილვის საბჭოში. საბჭომ სრულად დააკმაყოფილა საჩივარი და კომისიას მიუთითა მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და შპს „შარა-გზამშენი პირველის" ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასების პროცესში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვის შესახებ.

„ხობის მუნიციპალიტეტმა, დავების განხილვის საბჭოს მითითების შესრულების ნაცვლად, ტენდერი შეწყვიტა და ახალი ტენდერი გამოაცხადა შეცვლილი პირობებით. კერძოდ, ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილებად მოითხოვა მხოლოდ გზის ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები. აღნიშნულ ტენდერში შპს „შარა-გზამშენი პირველს" მონაწილეობა არ მიუღია. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა დააფიქსირა 1 492 300 ლარის შემოთავაზება, რაც 219 700 ლარით აღემატება შეწყვეტილ ტენდერზე შპს „შარა-გზამშენი პირველის" ფასს".

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სატენდერო კომისიამ ანალოგიურად იმოქმედა ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის ცემენტო-ბეტონით საფარითმოწყობის სამუშაოების შესყიდვისას. კერძოდ, ტენდერი გამოცხადდა 2019 წლის 15 იანვარს, სავარაუდო ღირებულებით – 1 532 000 ლარი. სატენდერო პირობები გამოცდილების ნაწილში წინა ტენდერის იდენტური იყო და მონაწილეობა მიიღო იმავე პრეტენდენტმა – შპს „შარა-გზამშენი პირველმა". სატენდერო კომისიამ ამჯერადაც დაახარვეზა პრეტენდენტის გამოცდილება და მოითხოვა სატენდერო დოკუმენტაციისაგან განსხვავებული გამოცდილება. გადაწყვეტილება პრეტენდენტმა ასევე გაასაჩივრა დავების საბჭოში, რომელმაც საჩივარი დააკმაყოფილა. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა იმავე მოტივით შეწყვიტა ტენდერი. შეცვლილი პირობებით გამოცხადებულ განმეორებით ტენდერზე გამარჯვებულმა პრეტენდენტმა დააფიქსირა 1 425 000 ლარი, რაც 101 900 ლარით აღემატება შეწყვეტილ ტენდერზე შპს „შარა-გზამშენი პირველის" მიერ შეთავაზებულ ფასს.

„ორივე ტენდერის შეწყვეტის მიზეზად კომისიამ ოქმში მიუთითა, რომ ცემენტო– ბეტონისა და ასფალტო-ბეტონის სამუშაოების სპეციფიკა მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ანალოგიად ვერ მიიღებდა. კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ ვეღარ მოახდენდა სატენდერო დოკუმენტაციის ცვლილებას, ხოლო აღნიშნული სახით მოთხოვნილი გამოცდილება გახდებოდა დაუსრულებელი დავის საგანი.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სათანადოდ ვერ დაასაბუთა რა აუცილებლობით იყო გამოწვეული სატენდერო პირობისაგან განსხვავებული გამოცდილების მოთხოვნა. სატენდერო კომისიამ არ გაითვალისწინა გარემოება, რომ შპს „შარა-გზამშენი პირველს" მუნიციპალიტეტში შესრულებული ჰქონდა ანალოგიური სახის და მოცულობის სამუშაოები და პასუხისმგებელი პირების განმარტებით შესრულებული სამუშაოს ხარისხზე პრეტენზია არ ჰქონიათ. მუნიციპალიტეტმა ისიც ვერ განმარტა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მოდავე მხარეები, რადგანაც ტენდერებში მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა".

სატენდერო კომისიის მიერ გამოყენებული მოტივი ცემენტო-ბეტონისა და ასფალტო-ბეტონის სამუშაოების სპეციფიკის განსხვავების შესახებ ვერ იქნება გათვალისწინებული შემდეგი გარემოების გამოც: შეწყვეტილი ტენდერებიდან დაახლოებით ერთი თვით ადრე – 2018 წლის 7 დეკემბერს, კომისიამ ტენდერი გამოაცხადა სოფელ გაღმა საჯიჯაოში გზის ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით 93 600 ლარი. სატენდერო დოკუმენტაცია ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების ნაწილში შეწყვეტილი ტენდერების დოკუმენტაციის იდენტურია. ამ შემთხვევაშიც პრეტენდენტის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების გამოცდილება ნაკლები იყო კომისიის მიერ მოთხოვნილ საერთო გამოცდილებაზე. მიუხედავად ამისა, კომისიას პრეტენდენტის დისკვალიფიკაციასა და დოკუმენტაციის ხარვეზებზე არ უმსჯელია.

„აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ხობის მუნიციპალიტეტის მიერ წინა პერიოდში ტენდერების გამოცხადების პრაქტიკაც გზების ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოებზე. გამოვლინდა, რომ გამოცდილების მოთხოვნისას კომისია ძირითადად მოქმედებდა ერთგვაროვნად და არ უთითებდა მხოლოდ ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებს. კერძოდ, 2018 წელს გამოცხადებულ ტენდერებში კომისია კონკრეტულად ბეტონის სამუშაოები მოითხოვდა საერთო გამოცდილების მხოლოდ 17%-მდე მოცულობით. თუ კომისია 2019 წელს გამოცხადებული ტენდერების დოკუმენტაციის შედგენის ან და შერჩევა-შეფასების პროცესში იმოქმედებდა იმავე მიდგომით, ორივე ტენდერში შპს „შარა-გზამშენი პირველი" გაიმარჯვებდა".

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ 2019 წლის ივლისიდან შეცვალა მიდგომა გამოცდილების მოთხოვნასთან დაკავშირებით. კერძოდ, გზის სამუშაოებზე (ცემენტო-ბეტონი და ასფალტო-ბეტონი), ანალოგიური სამუშაოების სახით მოთხოვნილია ორივე სახის გამოცდილება „ცემენტო-ბეტონის ან/და ასფალტო-ბეტონის გზების მოწყობა/რეაბილიტაცია". გამომდინარე აქედან, 2018 წლიდან ჩატარებული ტენდერებისათვის, ცალსახად, ცემენტო-ბეტონის სამუშაოების გამოცდილება კომისიამ მოითხოვა მხოლოდ შეწყვეტილი ტენდერების შემთხვევაში.

შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2019 წელს, სოფლის გზების ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების შესყიდვისას, სატენდერო კომისიამ დაუსაბუთებლად მოახდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და შეწყვიტა ტენდერები. შედეგად,ხობის მუნიციპალიტეტმა დაკარგა ჯამში 321 600 ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა. კომისიამ გადაწყვეტილებები მიიღო სუბიექტურად, მის მიერვე დადგენილი პირობების შეუსაბამოდ და იმოქმედა არსებული პრაქტიკიდან განსხვავებულად, რის გამოც მუნიციპალიტეტის ინტერესები მნიშვნელოვნად დაზიანდა.

სამართალი

№35 23 ოქტომბერი 2024 წ

რატომ მოკლა დამ 60 წლის ძმა

როგორ გავიდა გამოძიება დამნაშავეზე და რა ჩვენება მისცა სამართალდამცავებს ბარის მიმტანმა

ბათო ჯაფარიძე

განსაკუთრებით დღეს, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ასაკოვანი მამაკაცი თავისზე ბევრად უმცროს ქალს ირთავს ცოლად. ადრე ყველაფერ ამას კაპიტალისტურ გადმონაშთს ეძახდნენ და საბჭოთა ელიტა გულს ირევდა, აქაოდა, შვილად, ან შვილიშვილად ეკუთვნის, ამის გაკეთება როგორ შეიძლებაო?! მერე რა, რომ იმ ელიტის უდიდეს ნაწილს საყვარლებად სწორედ ასეთი ახალგაზრდა გოგონები ჰყავდა, მთავარი ხომ ის იყო, ოფიციალურად არაფერი „გაეფუჭებინათ“. ასე იყო თუ ისე, ასაკში დიდ სხვაობას ყურადღება მაინც ექცეოდა და კიდევ ერთი დაუწერელი კანონი იყო, მამაკაცი ქალზე უფროსი უნდა ყოფილიყო, თუნდაც დღეებით, მაგრამ მაინც უფროსი. ასაკით უფროსი რძლის ოჯახში შეშვება არავის უხაროდა და ესეც ერთგვარი პარადოქსი გახლდათ – თუ ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, რა შუაშია ასაკი?!

მოკლედ, ერთმა 60 წელს მიღწეულმა კაცმა ცოლად 27 წლის გოგო რომ მოიყვანა, დიდი ამბავი ატყდა. მას აკრიტიკებდა ყველა, ვისაც კი არ ეზარებოდა – ოჯახის წევრებიდან დაწყებული, კოლეგებით დამთავრებული. ის, ვინც პირდაპირ არ აკრიტიკებდა, ზურგს უკან ჭორაობდა, მაგრამ კაცს არაფერი აინტერესებდა, ძალიან ბედნიერი იყო ახალგაზრდა ცოლთან და რაც მთავარია, მას მანამდე ოჯახი არ ჰყავდა, საკმაოდ შეძლებულიც იყო, მაგრამ ყველაფერს დის ოჯახსა და დის შვილებს ახმარდა. ჰოდა, ყველაზე მეტად სწორედ და ჯავრობდა, ჩემს შვილებს უფულოდ დატოვებს, ყველაფერს იმ გოგოს გადაუფორმებსო. არც გოგო ნაღვლობდა დიდად კრიტიკასა და ჭორებს, კაცს თან ჰყვებოდა და როცა მან უთხრა, ანდერძის შეცვლა მინდა, რაღაცები შენც რომ გერგოსო, ხელი აუქნია, არ ვაპირებ დაქვრივებას, შენთან ერთად კიდევ ასი წელი უნდა ვიცოცხლოო. ამას ბევრი შეესწრო და ბევრს გულწრფელად გაუკვირდა, ეგონათ, გოგო სწორედ ფულის გამო გაჰყვა კაცს, ის კი, ანდერძში მის შეყვანაზე უარს აცხადებდა. ნათესაობა თითქოს დამშვიდდა, ახლადშეუღლებულებმაც ჩვეულებრივად გააგრძელეს ცხოვრება და ყველაფერი თავის გზით მიდიოდა.

ერთ დღეს, ახალგაზრდა ქალმა დაქალს დაურეკა, საინტერესო ფილმია კინოთეატრებში, ეგებ, შენი ქმარი წამოიყვანო და წავიდეთ, მე გეპატიჟებითო. დაქალი დათანხმდა და კინოში წყვილები ერთად შევიდნენ. 60 წლის კაცი ბედნიერებისგან ასხივებდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ცხოვრება უხაროდა. ფილმი საინტერესო იყო, მაგრამ შუა ჩვენების დროს, მამაკაცმა გულზე ხელი მიიდო, უცნაურად გახედა გვერდით მჯდომ ახალგაზრდა მეუღლეს, ერთი ამოიხრიალა და სულიც ამოაყოლა. რა თქმა უნდა, ჩვენება შეჩერდა, სასწრაფოც მალე მივიდა, მაგრამ ექიმებმა მხოლოდ გარდაცვალება დააფიქსირეს. წესისამებრ, გარდაცვლილი ექსპერტიზაზე გადაიყვანეს, სამართალდამცავებმა მისი ცოლი და ორი მეგობარი ზერელედ გამოჰკითხეს, რადგან ყველა დარწმუნებული იყო, რომ მამაკაცი გულის შეტევით გარდაიცვალა, თუმცა მეორე დღეს, ყველაფერი თავდაყირა დადგა – ექსპერტიზის დასკვნით, მამაკაცს ის პრეპარატი ჰქონდა მიღებული, რომელიც ალკოჰოლთან რეაქციაში შედის და რადგანაც გარდაცვლილს პრეპარატის პარალელურად, ღვინო და კონიაკი ჰქონდა დალეული, პრეპარატმა მოქმედება დაიწყო, რამაც საბოლოო ჯამში, გულის გაჩერება გამოიწვია.

„დიახ, სანამ კინოში წავიდოდდით, კაფეში შევედით, მსუბუქად ვჭამეთ, მე ღვინო შევუკვეთე, ჩემმა მეუღლემ – კონიაკი, მაგრამ როცა ღვინო მოიტანეს, რატომღაც დალევა არ მომინდა და ორივე იმან დალია. მაგ კაფეში მუდმივად დავდივართ, პრაქტიკულად, კვირაში 4-5 დღე, სწორედ მანდ ვართ ხოლმე, რადგან ერთმანეთი სწორედ იქ გავიცანით. აბსოლუტურად ყველა გვიცნობს, მიმტანიდან დაწყებული, დირექტორით დამთავრებული. ისეც ყოფილა, რომ ფული დაგვრჩენია სახლში, მაგრამ უპრობლემოდ გაგვმასპინძლებიან და თანხა მერე მიგვიტანია“, – განაცხადა ქვრივმა.

საინტერესო ის იყო, რომ ექსპერტები დაზუსტებით ვერ ამბობდნენ, წამალი ღვინოში იყო გარეული, თუ კონიაკში და რაღა თქმა უნდა, ამის დადგენა არც ჭიქების მეშვეობით შეიძლებოდა, ორივე ჭიქა გარეცხილი იყო. რაც შეეხება მიმტანს, ის ჩვეულებრივი გოგონა გახლდათ, კაფეში დიდი ხნის მუშაობის სტაჟით და როცა სამართალდამცავები მის დასაკითხად მივიდნენ, ლამის ატირდა, მე რა შუაში ვარ, სასმელს მე ხომ არ ვასხამ, რაც ბარმენმა დამისხა, ის მივიტანეო და ლოგიკურად, მართალიც იყო. ჭიქაც და სასმელიც მან სწორედ ბარმენის ხელიდან აიღო.

ბარმენმა მხრები აიჩეჩა, იმ ბოთლებიდან ყოველდღიურად ვასხამ, ორივე ბოთლი აქ მაქვს, სასმელი ორივეში არის და მოდით, შევამოწმოთო. ექსპერტებმა ბოთლები ექსპერტიზაზე წაიღეს, მაგრამ მომაკვდინებელი პრეპარატი არცერთში აღმოჩნდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პრეპარატი ჭიქაში ან მანამდე ჩაასხეს, სანამ სასმელით შეავსებდნენ, ან მას შემდეგ. ექსპერტები გამორიცხავდნენ, წამალი საკვებში ყოფილიყო არეული, რადგან მას სპეციფიური სუნი აქვს და მხოლოდ ალკოჰოლი აქრობს.

„ჩემს ძმას ეს ალქაჯი მოკლავდა. სწორედ იმიტომ გაჰყვა ცოლად, მერე ყველაფერი რომ მას დარჩენოდა. საბედნიეროდ, ჩემს ძმას ეყო ჭკუა და ანდერძი არ შეუცვლია, ამიტომ ეს აქედან ისეთივე ცარიელ-ტარიელი წავა, როგორიც აქ მოეთრა“, – გარდაცვლილის და ბოლო ხმაზე კიოდა, მაგრამ მისი რძალი ყურადღებას არ აქცევდა, კუბოზე იყო დამხობილი და ცხარე ცრემლით ტიროდა.

„თუ რამე გამეგება, ქვრივი მკვლელი არ არის. შეუძლებელია, ასე ითამაშო და თუ ასე თამაშობს, მაშინ ქართულ კინოს უდიდესი მსახიობი დაუკარგავს. ფაქტია, ვიღაცას აწყობდა, რომ ეს კაცი სწორედ ცოლის გვერდით მომკვდარიყო და ის კაფეში მოწამლეს, მაგრამ ვინ და რატომ, ეს არის საინტერესო. ეგებ, ოჯახის წევრები არაფერ შუაში არიან და მას სხვა მტერი ჰყავდა“, – ხმამაღლა მსჯელობდა გამომძიებელი, მაგრამ მისმა თანაშემწემ უკვე იცოდა, რომ გარდაცვლილს მტერი არ ჰყოლია, რომ ის დიდი პატივისცემით სარგებლობდა, არც ისეთი სასიყვარულო ისტორიები ჰქონია, ვინმეს შური ეძია, მაგრამ... ხომ შეიძლებოდა, ადრე, სანამ ცოლს შეირთავდა, ვინმესთან შვილი შესძენოდა, ის ბავშვი გაზრდილიყი, გაეგო მამის არსებობის შესახებ და მამა ასე გაემეტებინა, ან დაესაჯა? შეამოწმეს ბარის ყველა თანამშრომელი, მათ, ან მათი ოჯახის წევრებს რამე კვეთა ხომ არ ჰქონდათ გარდაცვლილთან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთადერთი, ვინც რაღაცით იყო დაკავშირებული კაცთან, სწორედ ის გოგონა იყო, რომელიც მაგიდას ემსახურებოდა. როგორც გაირკვა, გოგონას დედა, გარდაცვლილის დის დაქალი იყო, კაფეში მუშაობა მან დააწყებინა და დედა-შვილი მადლიერებას არც მალავდა – ცოტა ამოისუნთქეს და გოგოს შინ პურის ფულზე მეტი მიჰქონდა. ვარაუდი იმისა, რომ გარდაცვლილს, შესაძლოა, ოფიციანტთან რამე სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონოდა, მალევე გამოირიცხა. ჯერ ერთი, ყველა ამბობდა, რომ კაცი გოგოს მამა-შვილურად ექცეოდა და როცა ოფიციანტს ამაზე მიანიშნეს, მან ჯერ ტირილი დაიწყო, მერე კი, ასევე ტირილით თქვა, რას მეუბნებით, ნებისმიერ ექიმთან შემამოწმეთ, ქალიშვილი ვარო. გამოძიება ჩიხში საბოლოოდ შევიდა, მაგრამ...

„გარდაცვლილმა ორი დღის წინ შეცვალა ანდერძი და მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ცოლს დაუტოვა. ამის შესახებ არ იცოდა არავინ, არც მეუღლემ, არც ნათესავებმა, ვიცოდი მხოლოდ მე და მქონდა გაუთქმელობის პირობა მიცემული“, – ეს განცხადება გარდაცვლილის ადვოკატმა გააკეთა და იქ ამბავი დაიწყო... მოკლული კაცის და რძალს თმებში სწვდა და სანამ ხელიდან გამოსტაცებდნენ, თმა ბღუჯა-ბღუჯა ამოაცალა. როცა სიტუაცია ასე თუ ისე დამშვიდდა, ქვრივმა ადვოკატს მიმართა, მე მხოლოდ ბინას დავიტოვებ, თავზე ჭერი რომ მქონდეს, დანარჩენი არაფერი მინდა, ყველაფერი დას და მის შვილებს მიეცით, ისინი ძალიან უყვარდა და დარწმუნებული ვარ, ჩემს გადაწყვეტილებას მოიწონებდაო. არც ამას ელოდა ვინმე და ძალოვნები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ქვრივი ეჭვმიტანილთა სიიდან უნდა ამოეღოთ. მომხდარი მალე გახმაურდა, ყველა ქვრივს აქებდა, კაცი მართლა ჰყვარებიაო და... განყოფილებაში ოფიციანტი მივიდა.

„ასე ცხოვრება არ შემიძლია, მით უმეტეს, იმის შემდეგ, რაც მოხდა. ორიოდე დღის წინ, ჩემთან გარდაცვლილის და მოვიდა, მისგან ძალიან ვარ დავალებული. რაღაც სითხე მომცა და მითხრა, როცა ჩემი ძმა და მისი ცოლი მოვლენ, ეს სითხე ქალს სასმელში გაურიე, არ მოკლავს, უბრალოდ, უშვილობას იწვევს, გულყრა დაეწყება, მერე კი, როცა საავადმყოფოში წაიყვანენ, სისხლდენა ექნებაო. ის ექიმია, დავუჯერე, მას ძმის შვილი არ უნდოდა. წამალი ღვინოში ჩავასხი, რადგან ქალი ყოველთვის ღვინოს სვამდა და იმ დღეს... არ დალია, ქმარმა დალია. შემეშინდა, მაგრამ ვიფიქრე, რომ ეს წამალი მხოლოდ ქალებზე მოქმედებდა, მით უმეტეს, კაცი მშვიდად გავიდა კაფედან. მერე, ეს ამბავი გავიგე და... არ შემიძლია, არა, ასე ვერ ვიცხოვრებ“, -განაცხადა ოფიციანტმა.

სასამართლომ გარდაცვლილის დას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ოფიციანტს – 8 წლით, თუმცა... ქვრივმა ქონებაზე მაინც უარი თქვა, ჩემი ქმრის დის შვილებს არაფერი დაუშავებიათო.

როგორ იძია აყვანილმა შვილმა შური გამზრდელ მშობლებზე

სპეცოპერაცია ფულის გამომძალველების წინააღმდეგ – დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ახლა თითქოს ტრადიციად იქცა, რომ შვილად აყვანილ ბავშვებს, სრულწლოვანი ასაკის შემდეგ, მშობლები ეუბნებიან, რომ მისი ნამდვილი დედ-მამა არ არიან, რომ იშვილეს, რომ ეს უნდა იცოდეს. ვიღაცას ეს ამბავი მძიმედ გადააქვს, ბიოლოგიური მშობლების ძებნას იწყებს, ვიღაც კი ფიქრობს, რომ დედ-მამა სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებმაც გაზარდეს და ბიოლოგიურ მშობლებს არც ეძებს. ერთი რამ კი უცვლელია – ადრეც და ახლაც ბავშვისთვის ამის წამოძახება დასჯადი იყო ანუ მეზობელი, „კეთილისმსურველი“ თუ ეტყოდა, რომ ბავშვი ნაშვილები იყო, სისხლის სამართლის საქმე აღიძრებოდა ხოლმე.

დედაქალაქში, ერთ-ერთ გავლენიან ოჯახს შვილი არ უჩნდებოდა და როგორც მოგვიანებით ექიმებმა უთხრეს, პრობლემა როგორც კაცს, ისე ქალს ჰქონდა ანუ უშვილობის მიზეზი ორივე იყო. ოჯახმა ყველაფერი ეს მძიმედ, მაგრამ მაინც გადაიტანა, შემდეგ კაცი ერთ მიგდებულ რაიონში გადავიდა მეორე მდივნად, იქიდან კი ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა და თან ულამაზესი გოგონა ჩამოიყვანა. მათ თქვეს, რომ შვილი სწორედ იქ, რაიონში შეეძინათ, ხუმრობდნენ კიდეც, ჰაერის გამოცვლამ გვარგუნაო და ამის მიუხედავად, თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ისინი დედაქალაქს სწორედ იმიტომ გაერიდნენ, ბავშვი აეყვანათ და შემდეგ ისევ დაბრუნებულიყვნენ, ვითომ არაფერი მომხდარა. რა თქმა უნდა, ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა და თითქოს ეს თემა ყველამ მიივიწყა, მაგრამ...

„იმ ამბიდან ოცი წელი გავიდა. ჩემი შვილი ახლა 20 წლისაა და არასდროს გამოჩენილა მისი ბიოლოგიური დედა. ახლა კი, ვიღაც ქალი გვირეკავს და გვაშანტაჟებს. ჯერ 100 მანეთი მოითხოვა, შემდეგ – 200, შემდეგ – 500, ახლა – 1 000 და მივხვდი, ეს არასდროს დასრულდება. თანაც, დიდ თანხებს რომ არ ითხოვდა, ვაძლევდი, უფრო ზუსტად, მითითებულ ადგილზე ვტოვებდი. დამეხმარეთ, გავაჩეროთ ის ქალი, არც კი ვიცი, ვინ არის, რადგან არ დავინტერესებულვარ, ვინ იყო მისი ბიოლოგიური დედა, მან ბავშვი დატოვა, ჩვენ – ვიშვილეთ. სწორედ ამ მიზნით ვიყავი იმ რაიონში მთელი წელიწადი, ველოდით, როდის მიატოვებდა რომელიმე დედა შვილს. მნიშვნელობა არ ჰქონდა, გოგო იქნებოდა თუ ბიჭი, მთავარი ის გახლდათ, რომ ბავშვი ჯანმრთელი ყოფილიყო“, – მამაკაცი მილიციის განყოფილებაში მეგობარს ესაუბრებოდა და რა თქმა უნდა, არ სურდა, რომ განცხადება დაეწერა.

თანხის გადაცემის დრო ახლოვდებოდა, ამიტომ ძალოვნებმა ჩასაფრება მოაწყვეს, მამაკაცმა თანხა დატოვა, მაგრამ მის ასაღებად არავინ მივიდა. სამაგიეროდ, მეორე დღეს, კაცმა წერილი მიიღო, მილიციაში რომ წახვედი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენს შვილს სიმართლეს არ ვეტყვი, მე გოგოზე უარი არ მითქვამს, ექიმებმა მომატყუეს, რომ გარდაიცვალა და ამას დავამტკიცებ, მერე კი შვილს დავიბრუნებო. მამაკაცი სიმწრით თმას იგლეჯდა, მაგრამ ამტკიცებდა, ბავშვი დედამ დატოვაო. საქმე ისე შებრუნდა, რომ ოფიციალურად უნდა დაწყებულიყო გამოძიება და მამაკაციც იძულებული გახდა, განცხადება დაეწერა, თანაც მისი დაკითხვა გადაწყდა, მაგრამ მან მეტი არაფერი იცოდა გარდა იმისა, რაც მანამდე თქვა. სამაგიეროდ, ცოლის ჩვენება იყო ძალიან საინტერესო.

„ვაღიარებ, რომ არასწორად მოვიქეცი. მთელი წელი ბავშვის დატოვებას ამაოდ ველოდე. იქ ერთი მედდა იყო, რომელსაც ფინანსურად უჭირდა და ვუთხარი, თუ საეჭვო მშობიარობა იქნება, შემატყობინე-მეთქი. მანაც დამირეკა, ახალგაზრდა, 17 წლის გოგო მოიყვანეს, არც მშობლები მოჰყვნენ, არც – ქმარი, როგორც ამბობენ, სოფლიდან არის, შეაცდინეს და ახლა უკანონო შვილის მოცილება უნდაო. ადგილზე მივედი, ვნახე გოგონა, რომელსაც მხოლოდ ბავშვის გაჩენა და გაქცევა სურდა. ბავშვი გაჩნდა, გოგონა წავიდა და ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა, თურმე, შვილი მომეცითო. უთხრეს, რომ გოგონა მოკვდა, ეს მედდამ გააკეთა“, – განაცხადა ქალმა.

მას არც ის დაუმალავს, რომ დაახლოებით, ერთი წლის წინ, სწორედ ეს მედდა შემთხვევით შეხვდა ქუჩაში მას და მის ქალიშვილს, მოიკითხა და მერე წუწუნი დაიწყო, პენსია არ მყოფნის, წამლები მაქვს საყიდელი, ავად ვარო. ჰოდა, ქალი ყველაფერს მიხვდა და ყოფილ მედდას, სიჩუმის სანაცვლოდ, ყოველთვიურად 50 მანეთის მიცემას დაპირდა და აძლევდა კიდეც. იყო შანსი, რომ მას მეტი მოუნდა.

სამართალდამცავებმა მოხუცი ქალი ადვილად იპოვეს, მაგრამ მიხვდნენ, რომ ის ყველაფერ ამის გამკეთებელი არ იყო. ქალს გადაადგილება უჭირდა, შესაბამისად, ფულის მოთხოვნა, შემდეგ ამ თანხის ჩუმად აღება მის მდგომარეობაში არ ჯდებოდა. ჰოდა, ძალოვნები ერთადერთ, ლოგიკურ დასკვნამდე მივიდნენ – ბავშვის ბიოლოგიურმა დედამ როგორღაც გაიგო ყველაფერი და ფულს სწორედ ის სძალავდა. ამიტომ, მისი ძებნა დაიწყეს და...

„მახსოვს ეგ უბედური, თავიდან გზას ასცდა, მერე ქალაქში წავიდა, ამბობდნენ, რამდენჯერმე გათხოვდაო. ასე იყო თუ ისე, მერე სოფელში დაბრუნდა და დაახლოებით ათი წლის წინ, მთვრალი გზაზე მანქანას შეუვარდა“, – უთხრა დედაქალაქელ ძალოვნებს იმ რაიონის განყოფილების შეფმა, სადაც ბავშვის დედა ცხოვრობდა.

გამოდიოდა, რომ დედა არაფერ შუაში იყო, ფულს სხვა ითხოვდა და ის სხვა როგორმე უნდა გამოევლინათ. პარალელურად, გადაწყდა, რომ სიმართლე გოგოსთვისაც ეთქვათ, რადგან ეს მოულოდნელი არ ყოფილიყო და რაც მთავარია, სახლში, ტელეფონზე უნდა დაყენებულიყო მოსასმენი აპარატურა, რაზეც გოგონას აუცილებლად გაუჩნდებოდა კითხვები. დედ-მამამ ქალიშვილი წინ დაისვა და რთულად, მაგრამ მაინც უთხრეს სიმართლე. გოგონას ისტერიკა არ დამართნია, არც ის უკითხავს, დედაჩემი ვინ იყოო, მხოლოდ მშვიდად ჩაილაპარაკა, ეჭვი მქონდა, მაგრამ ხმამაღლა არ ვამბობდი, კარგია, რომ თავად მითხარით და ნურაფერზე ინერვიულებთო. შესაბამისად, სამართალდამცავებს ხელ-ფეხი გაეხსნათ, მოსასმენი აპარატურა დაამაგრეს, მორიგეობაც დააწესეს, მაგრამ ორი კვირა ისე გავიდა, კავშირზე არავინ გამოსულა. ესეც არ იყოს, თვალთვალმა აზრი დაკარგა, რადგან გოგონამ ყველაფერი იცოდა და რამე რომც ეთქვათ, შედეგი არ ექნებოდა ანუ შანტაჟის შესაძლებლობა გამოირიცხა. ამის მიუხედავად, ძალოვნებს დამნაშავის დაკავება სურდათ, თუმცა ის უბრალოდ გაქრა...

ორიოდე კვირის შემდეგ, მამაკაცი განყოფილებაში ისევ მივიდა და თქვა, რომ სახლის ტელეფონზე ისევ დაურეკეს და უთხრეს, რომ თუ 10 000 მანეთს არ გადაიხდიდა, მის შვილს მოკლავდნენ. მას კი ამის დაშვება არ შეეძლო. სპეცოპერაცია მთელი სერიოზულობით დაიგეგმა, ფულის გადაცემა ერთ-ერთ სკვერში უნდა მომხდარიყო, კაცს ფული ნაგვის ურნაში უნდა ჩაეგდო და იქაურობას გასცლოდა. რა ძნელი მისხვედრია, რომ სკვერში გადაცმული ძალოვნები პატრულირებდნენ. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, კაცმა ურნას გვერდით გაუარა და ფული ჩააგდო. ჰო, ფული, რადგან თუ დამნაშავეს ვერ დააკავებდნენ, კუპიურების იმედი ჰქონდათ – ყველა მათგანის სერია ამოწერილი იყო. თითქოს ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, სანაგვე ურნას ოცზე მეტი ოპერმუშაკის თვალი უყურებდა და საეჭვო თითქოს არაფერი ჩანდა – მოხუცები ისვენებდნენ, დედები ბავშვებს ასეირნებდნენ, ორი ახალგაზრდა დარბოდა... ასე გავიდა საათზე მეტი.

მოულოდნელად, ერთ-ერთი მორბენალი სანაგვე ყუთთან შეჩერდა, ფულის შეკვრა ამოიღო, ჯიბეში გაიქანა, ელვა შესაკრავით დაკეტა და მოკურცხლა. სანამ ოპერები გამოერკვეოდნენ, სკვერის კიდესთან მივიდა, ერთი ნახტომით გადაევლო მწვანე ღობეს და... გაუჩინარდა. სამართალდამცავები ერთმანეთს პირდაღებული უყურებდნენ – გადევნება კი არა, იარაღის ამოღება და გამაფრთხილებელი გასროლის გაკეთება ვერ მოასწრო ვერავინ. რა თქმა უნდა, მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებდა დაზარალებულიც და ძალოვნები სწორედ მან დაამშვიდა – არ გინდათ დადევნება, ვიცი, ვინც არისო.

„ყველაფერს ვიფიქრებდი, ამას – არა. ეს ბიჭი ჩემი გოგონას შეყვარებულია. წესიერი, უპატიოსნესი ბიჭი ჩანდა და ნახე, რა მოუფიქრებია? ჩემი თვალით რომ არ დამენახა, არ დავიჯერებდი“, – ხელი ჩაიქნია კაცმა. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავები მის დასაკავებლად წავიდნენ, მაგრამ ბინაში მორიგი სიურპრიზი ელოდათ – ბიჭთან ერთად დაზარალებულის ქალიშვილი იმყოფებოდა და ისინი მაგიდაზე გაშლილ, გამოძალულ კუპიურებს ითვლიდნენ.

„დიახ, ეს ჩემი გეგმა იყო და ახლავე აგიხსნით, რატომ. ჩემი მშობლები ყველანაირად მზღუდავდნენ, არ მიშვებდნენ მეგობრებთან, არ მიშვებდნენ საღამოს გარეთ და ერთხელ შევესწარი საუბარს, როცა დედა მამას ეუბნებოდა, გენეტიკა თავისას იზამს, თუ თავისუფლებას მივცემთო ანუ მათ ჩემი არ სჯეროდათ და ასე გადავწყვიტე მათი დასჯა. რაში დავხარჯე ფული? არც არაფერში, შენახული მაქვს და მასაც ვინახავდი. ვინახავდი იმისთვის, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება დამეწყო, რომ ჩემი ბინა მქონოდა. ჩემი შეყვარებულიც მე ავიყოლიე, ის დამნაშავე არ არის“, – თქვა გოგონამ.

მამამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ არც მისი შვილი და არც შეყვარებული არ დასჯილიყვნენ, მერე კი, როცა ყველაფერი დასრულდა, გოგონას ბინა თავად უყიდა და უფლება მისცა, როცა სურვილი ექნებოდა, ღამე იქ გაეთია.

ბათო ჯაფარიძე

ყველაფერთან ერთად, საქართველოს ის პერიოდიც გამოვლილი აქვს, როცა ძირთადად თავადაზნაურობა გლეხების ბავშვებს იტაცებდა და სტამბოლის ბაზარზე ჰყიდდა. სწორედ ამიტომ, ათეულობით ათასი ქართველი აზიისა თუ აფრიკის ქვეყნებში მოხვდა, ამ ქვეყნების გამო ხმალს იქნევდა, თოფს ისროდა და ამიტომაცაა, რომ ჩვენი გენი მსოფლიოშია გაფანტული.

ვინ და რატომ გაიტაცა 50 წლის მამაკაცის ცოლი

„მოკვლას მიპირებდნენ, მაგრამ ვერ გაბედეს“

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ადამიანების გატაცება მეოცე საუკუნის მიწურულსაც აქტუალური გახდა. ოღონდ, ამჯერად, გატაცებულებს საზღვარგარეთ არავინ ჰყიდდა, მათ ოჯახებს უკავშირდებოდნენ და გამოსასყიდს ითხოვდნენ. სამწუხაროდ, არაერთი შემთხვევა იყო, როცა გამოსასყიდის გადახდის მიუხედავად, გატაცებულს კლავდნენ და კლავდნენ იმიტომ, რომ დიდი ალბათობით, ის რომელიმე გამტაცებელს იცნობდა, ან ისინი, უბრალოდ, თავს იზღვევდნენ და ფულის აღების შემდეგ, გატაცებულს კლავდნენ. დღეს, ადამიანების გატაცება გამოსასყიდის მიღების იმედად, პრაქტიკულად, არ ხდება. კი, არის მუქარები, დაშინებები, რომლებსაც, საბედნიეროდ, სამართალდამცავები უმკლავდებიან (რა თქმა უნდა, ამისათვის მათ უნდა მიმართოთ) და თუ ვინმეს იტაცებენ, ძირითადად, ცოლად მოყვანის მიზნით. ესეც პარდოქსია, რადგან ახლა, 21-ე საუკუნეში, ქალს ცოლად მოყვანის მიზნით რომ მოიტაცებ, ცოტა პრობლემები გაქვს.

ჰოდა, სწორედ იმ 90-იანებში, როცა ადამიანის გატაცება ჩვეულებრივი ამბავი იყო და ყურს უცხოდ არ ხვდებოდა, განყოფილებაში 50 წელს მიტანებული კაცი მივიდა და განაცხადა, ცოლი მომტაცესო. თავიდან, სამართალდამცავებს ეგონათ, რომ საქმე რომელიმე ბიზნესმენთან ჰქონდათ, მაგრამ კაცმა, რა ბიზნესმენი, „საპოჟნიკი“ ვარ, ჩემი ცოლი კი დამლაგებელია და როცა სამსახურიდან წამოსულა, მის ერთ-ერთ თანამშრომელს დაუნახავს, როგორ ჩატენეს მანქანაში და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანესო. კაცს ცოლის ფოტოც ჰქონდა მიტანილი და ძალოვნებმა მხრები აიჩეჩეს – ფოტოზე ფაშფაშა, არაფრით გამორჩეული ქალი იყო აღბეჭდილი და წესით, მის მიმართ ინტერესი არავის უნდა ჰქონოდა. დაიწყო ძებნა, გამოცხადდა განგაში, გააფრთხილეს საგზაო მილიციის თანამშრომლები, მაგრამ ქალი გაქრა. მეორე დღეს, კაცი განყოფილებაში ისევ მივიდა, ამჯერად, ცოლთან ერთად და ქალის თავს გადამხდარ ისტორიას ძალოვნები ღიმილით უსმენდნენ.

„სამსახურიდან როცა გამოვედი, სამმა ჯანიანმა ბიჭმა ხელში პატარა ბავშვივით ამიტაცა, მანქანაში ჩამსვა და თავზე მაშინვე ტომარა ჩამომაცვა. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, უბრალოდ, მეშინოდა და ცრემლები თავისით მომდიოდა, ოღონდ ყველაფერი ეს, უხმოდ. ასე მატარეს, დაახლოებით, 40 წუთი, მერე მანქანა გაჩერდა, სადღაც ოთახში შემიყვანეს და მითხრეს, კარის დახურვის ხმას რომ გაიგებ, სახვევი მოიხსენიო. მოვიხსენი და ოთახი დავათვალიერე. მაგიდა, სკამი, იატაკზე დაგდებული ლეიბი, რკინის სათლი, საკვები და წყალი. სულ ეს იყო, რაც ოთახში დამხვდა. სავარაუდოდ, სათლს ტუალეტის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. მთელი დღის მშიერმა თავი ვერ შევიკავე, პური, ყველი და ცოტაოდენი ხორცი ვჭამე, მერე წამოვწექი და დაველოდე, რა მოხდებოდა. ასე, ერთ საათში, მიბრძანეს, თვალები ამეხვია, ავიხვიე, მაგრამ ისე, რომ სილუეტები მაინც გამერჩია. ვიღაც ნიღბიანი შემოვიდა, თვალები მაგრად ამიკრა და მერე შემოვიდა ქალი. ქალი რომ იყო, ჯერ სუნამოთი მივხვდი, მერე კი ხმით. მან იკითხა, ეს ვინ არისო და ოთახიდან გავიდა. ამ დილით, ისევ ამიხვიეს თვალები, მითხრეს, ნუ გეშინია, შეგვეშალაო და შუა გზაზე ჩამომსვეს. სახვევი შიშით მარტო 5 წუთის შემდეგ მოვიხსენი, ავტობუსს დაველოდე და სახლში წამოვედი. აქ კიდევ, ჩემს ქმარს მთელი ამბები აუტეხავს. მე პრეტენზია არ მაქვს, არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უხეშად მომექცნენ, არაფერი დაუშავებიათ“, – განაცხადა ქალმა.

ძალოვნები ერთმანეთს გაოცებული უყურებდნენ. ასეთი რამ მანამდე არ გაეგოთ, მაგრამ უფრო გამოცდილმა თანამშრომელმა თქვა, იმ საწარმოში, სადაც ეს ქალი დამლაგებლად მუშაობს, ახლავე უნდა წავიდეთ და გავარკვიოთ, მას ვინ ჰგავს, ვისში შეეშალათ, რადგან სწორედ იმის მოტაცება იგეგმებაო. დანარჩენები დაეთანხმნენ, მაგრამ მანამდე ქალს ჰკითხეს, ვინმე ხომ არ გგავს ან სახით, ან აგებულებითო და მანაც მხრები აიჩეჩა, ასეთს ვერავის ვიხსენებო. ჰო, გატაცებულის ქმარმა გამომძიებელი გვერდით გაიყვანა და საიდუმლო ხმით უთხრა, ეს ისტორია ცოტა დაუჯერებლად მეჩვენება, ხომ არ მღალატობს ჩემი ცოლი, ამას ხომ არ იგონებს და ეგებ, თვალთვალი დავუწყოთ, რაზეც უარი უთხრეს. სამართალდამცავები საწარმოდანაც იმედგაცრუებულები დაბრუნდნენ, იქ ამგვარი არავინ იყო...

მომხდარიდან ერთ კვირაში, სამართალდამცავებს კიდევ ერთმა კაცმა მიაკითხა, რომელმაც განაცხადა, რომ ცოლი დაეკარგა.

„არ დავმალავ, ბოლო დღეებია, ცოლთან ხშირად ვკამათობ კონკრეტულ საკითხზე და როცა გუშინ შინ არ მოვიდა, ვიფიქრე, დაქალთან დარჩა, გაბრაზებულია-მეთქი. დღეს მის მეგობარს დავურეკე და გადავირიე, მივედი სასტუმროებში, რომლებიც ჩვენთან ახლო-მახლოს არის, მაგრამ არა, ის არსად დამხვდა. მგონია, რომ გაიტაცეს, მაგრამ გამტაცებლები არ შემომხმიანებიან. სავარუდოდ, ჩემგან გამოსასყიდის მიღება სურთ“, – განაცხადა კაცმა და ის... იმ საწარმოს დირექტორი აღმოჩნდა, სადაც წინა გატაცებული ქალბატონი მუშაობდა. მამაკაცს ცოლის სურათი სთხოვეს, მან მხრები აიჩეჩა, სახლში მაქვსო და ძალოვნები თან გაიყოლა. სურათიდან მომზირალი ქალი აგებულებით და სახითაც კი, ძალიან ჰგავდა ერთი კვირის წინ გატაცებულ დამლაგებელს. სამართალდამცავებმა მამაკაცს სთხოვეს, ის დღე გაეხსენებინა, როცა დამლაგებელი გაიტაცეს და მან დაადასტურა, რომ იმ დღეს ცოლი მასთან სამსახურში იმყოფებოდა, ისევ იკამათეს.

„დასამალი აღარაფერია, მე ახალგაზრდა ქალს ვხვდები, რომელმაც შვილი გამიჩინა, ბიჭი... ცოლთან შვილები არ მყავს. ვუთხარი, რომ ბავშვს უნდა მივხედო, რომ მისი მიტოვება არ მინდა ანუ იქაც ვიქნები და აქაც-მეთქი, მაგრამ არ მიჯერებს, მითხრა, სისულელეს ლაპარაკობ. მოკლედ, ამაზე ვკამათობდით და გაქრა“, – განაცხადა მამაკაცმა.

პირველი, რაც სამართალდამცავებმა გააკეთეს, დაკითხვაზე შეცდომით გატაცებული დამლაგებელი დაიბარეს და ჰკითხეს, ხომ ვერ გაიხსენებდა, გატაცების დღეს, მგზავრობის დროს, ხომ არ ესმოდა რამე ხმები, ხომ არ გადაიარეს, მაგალითად, ლიანდაგი, ხომ არ იყო შეფერხებები შუქნიშანზე და ა.შ. ანუ ნებისმიერი დეტალი, რაც ადგილსამყოფელის დადგენაში ძალოვნებს დაეხმარებოდა. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ახლა გატაცებული ქალიც ზუსტად იმ ოთახში ჰყავდათ გამომწყვდეული, რომელშიც დამლაგებელი იყო.

„ერთადერთი, რაც გარკვევით მესმოდა, ძაღლების გაუთავებელი ყეფა გახლდათ. ვიფიქრე, ალბათ, სადმე ახლოს ნაგავსაყრელია-მეთქი. სხვას ვერაფერს ვიხსენებ“, – განაცხადა ქალმა.

სამართალდამცავებმა რუკას დახედეს და ნაგავსაყრელი არა, მაგრამ ძაღლების თავშესაფარი კი იპოვეს. ისინი სწორედ იმ თავშესაფრისკენ გაემგზავნენ, მით უმეტეს, რომ გარშემო არაერთი სახლი იდგა და დამლაგებლის მონაყოლის მიხედვით, სავარაუდოდ, სარდაფში იყო გამოკეტილი. პარალელურად, იმ ქალის ვინაობის გარკვევა დაიწყეს, რომელმაც კაცს შვილი გაუჩინა, თუმცა მალევე დაადგინეს, რომ მას იმ მხარეში სანათესაო-სანაცნობო არ ჰყავდა.

თავშესაფართან არსებულის სახლების უდიდესი ნაწილი დაკეტილი იყო, სავარუდოდ, მფლობელები იშვიათად აკითხავდნენ და მხოლოდ ორი იყო ისეთი, სადაც მოძრაობა შეინიშნებოდა. ერთგან ხანში შესული ქალი ფუსფუსებდა ეზოში, მეორეგან – ორი ახალგაზრდა. ამიტომ, მეორე სახლი აირჩიეს და შეიძლება ითქვას, შტურმით აიღეს კიდეც. სარდაფში გატაცებული ქალი იპოვეს...

„ჩვენებას მოგცემთ, მაგრამ მინდა ჩემი ქმარიც დაესწროსო“, – მოითხოვა ქალმა და ქმარიც წინააღმდეგი არ წასულა.

„ეს ადამიანი უზომოდ მიყვარს, ამიტომ თვალს ვხუჭავდი, როცა მღალტობდა. მას მუდმივად ეგონა, რომ ვერაფერს ვხვდებოდი, მაგრამ არათუ ვხვდებოდი, არამედ, ზუსტად ვიცოდი, ვისთან და როდის ერთობოდა. მერე კი, გამოჩნდა ის გოგო, რომელმაც შვილი გაუჩინა, თურმე. არა, ჩემო საყვარელო, ჩვენი უშვილობის მიზეზი მე არ ვარ, შენ ხარ, რადგან ანალიზების მიხედით, ბავშვი არასდროს სწორედ შენ არ გეყოლება, მაგრამ იმის გამო, რომ მიყვარხარ, მე დავიბრალე, შენ რომ არასრულფასოვნების კომპლექსი არ გაგჩენოდა. ვიცოდი, შენც გიყვარდი და არ დამშორდებოდი, მაგრამ აგერ, იმ გოგომ პატარა ბავშვივით მოგატყუა და ახლა ვიღაცის შვილს გტენის. მე ვნახე ის გოგო, ვუთხარი, რომ შენგან შვილი ვერ ეყოლებოდა და რომ შენი ცხოვრებიდან გამქრალიყო, მაგრამ ამის მაგივრად, ჩემი გაქრობა გადაწყვიტა. მოკვლას მიპირებდნენ, მაგრამ ვერ გაბედეს, ვერცერთმა ვერ მომკლა, ვერც იმ გოგომ და ვერც იმ ორმა ბიჭმა. ერთმანეთში საუბრობდნენ, ეგებ, ვაშიმშილოთ დ შიმშილით მოკვდებაო“, – განაცხადა ქალმა.

მამაკაცი ცოლს პირდაღებული უსმენდა, მერე კი... მერე ანალიზი მაინც ჩაიტარა და როცა დარწმუნდა, რომ ცოლი მართალი იყო, პატიება სთხოვა. იმ გოგოს კი... იმ გოგოსა და მის შეყვარებულს უკვე სასამართლოებზე დაატარებდნენ და ამ კაცისთვის აღარავის ეცალა.

ფიროსმანის ქუჩაზე, 27 წლის ტატო ფირცხალაიშვილის მკვლელობის ფაქტზე, სამართალდამცავებმა ოთხი პირი დააკავეს

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა 31 წლის მამაკაცმა, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ტატო ფირცხალაიშვილი მოკლა, საპასუხო გასროლის შედეგად კი, თავად დაიჭრა.

საგამოძიებო უწყება მკვლელობის ბრალდებით დაკავებულის სამ მეგობარს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავება.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში მომხდარ მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, განზრახ მკვლელობისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ოთხი პირი დააკავეს.

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 1993 წელს დაბადებული ი.ბ., ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დაკავებულები არიან: 1987 წელს დაბადებული გ.ბ., 1988 წელს დაბადებული ჯ.ფ. და 1987 წელს დაბადებული დ.მ.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს, თბილისში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლა განახორციელა 1997 წელს დაბადებული ტ.ფ.-ს მიმართულებით, მიღებული დაზიანებების შედეგად, ტ.ფ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო საპასუხო გასროლისას დაიჭრა ი.ბ., რომელიც საავადმყოფოშია მოთავსებული, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ მომხდარ ფაქტს შეესწრნენ, ბრალდებულის მეგობრები – გ.ბ., ჯ.ფ. და დ.მ., თუმცა მათ სამართალდამცავ უწყებას დანაშაულის თაობაზე არ შეატყობინეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობას და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას გულისხმობს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს პროკურატურამ ე.წ. თაღლითური ქოლ-ცენტრების საქმეზე მორიგი ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა

საქართველოს პროკურატურამ ე.წ. თაღლითური ქოლ-ცენტრების საქმეზე მორიგი ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა. აღნიშნულის შესახებ პროკურორმა, ბექა კვიციანმა პროკურატურაში გამართულ ბროფინგზე განაცხადა.

როგორც კვიციანმა განმარტა, აღნიშნულ საქმეზე, ბრალდებულის სახით, ოთხი პირია დაკავებული.

მისივე თქმით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, მოტყუებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები პირების კუთვნილ 1 634 000 აშშ დოლარს და 1 მილიონ ევროს დაეუფლნენ.

„საქართველოს პროკურატურამ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ უწყებებთან საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად, საგამოძიებო ჯგუფის ფარგლებში, რომელშიც ასევე ჩართულია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ე.წ. თაღლითური ქოლ-ცენტრების საქმეზე, მორიგი ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ, თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე დაკავებულია ოთხი პირი.

ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, თბილისის ერთ-ერთ უბანში მოაწყვეს ე.წ. ქოლ-ცენტრი, სადაც დაასაქმეს უცხო ენების მცოდნე ოპერატორები და შესაბამისი მიმართულებების კურატორი მენეჯერები. ოპერატორები, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით უკავშირდებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს და სთავაზობდნენ ფასიანი ქაღალდების, აქციების, სასაქონლო აქტივების, ვალუტების და კრიპტოვალუტების ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.

„ქოლ-ცენტრის“ თანამშრომლები მომხმარებლებს არწმუნებდნენ, რომ მათი დახმარებით შეძლებდნენ სოლიდური მოგების მიღებას. რეალურად კი, დაზარალებულთა მიერ ინვესტიციისათვის გამოყოფილ ფულად თანხებს თაღლითურად ეუფლებოდნენ. დაზარალებულთა მხრიდან დაბანდებული თანხისა და მოგების დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში, წყვეტდნენ მათთან ყოველგვარ კომუნიკაციას.

ამ ფორმით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მოტყუებით დაეუფლნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები პირების კუთვნილ 1 634 000 აშშ დოლარს და 1 მილიონ ევროს.

საზღვარგარეთ, ფიქტიური საწარმოების საბანკო ანგარიშებზე და კრიპტოსაფულეებზე აკუმულირებული, უკანონოდ მოპოვებული ზემოაღნიშნული აქტივებისათვის კანონიერი სახის მისაცემად, ორგანიზებული ჯგუფის წევრები, მრავალჯერადი ტრანზაქციებით და ფიქტიური დანიშნულებებით რიცხავდნენ დანაშაულებრივი ორგანიზაციის კონტროლირებად სხვადასხვა საბანკო და კრიპტო ანგარიშებზე, მათ შორის, საქართველოში. დანაშაულებრივი წარმომავლობის შენიღბვის შემდგომ კი ახდენდნენ მათ ინვესტირებას უძრავ-მოძრავ ქონებებში.

გამოძიების მიერ, მოსამართლის შესაბამისი განჩინების საფუძველზე, დაყადაღებულია ბრალდებულების და მათთან დაკავშირებული პირების საკუთრებაში არსებული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონებები, სანაკო ანგარიშებზე არსებული თანხა, დაახლოებით, მილიონ ნახევარი ამერიკული დოლარისა და ნახევარი მილიონი ევროს ოდენობით.

ბრალდებულთა კუთვნილი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია ჯამში 240 000 ამერიკული დოლარის ღირებულების სხვადასხვა კრიპტოვალუტა, 400 000 დოლარამდე ფულადი თანხა და ძვირადღირებული ნივთები. ასევე, ერთ-ერთი ორგანიზატორის საბანკო სეიფის ჩხრეკისას, ამოღებულია 1 000 000 ამერიკული დოლარი.

ზემოაღნიშნული სავარაუდო დანაშაულებრივი წარმომავლობის მქონე ქონებების ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, პროკურატურა შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს გაატარებს.

პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად 9 დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოს პროკურატურამ ბოლო წლებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობისა და ფულის გათეთრების ბრალდებით, სისხლისსამართლებრივი დევნა ე.წ. თაღლითური ქოლ-ცენტრების საქმიანობაში ჩართული ჯამში ასი ფიზიკური და შვიდი იურიდიული პირის მიმართ დაიწყო. დაზარალებულად ცნობილია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ასეულობით მოქალაქე, რომელთა ზიანის საერთო ოდენობა 40 მილიონამდე ლარს შეადგენს. ასევე, ყადაღა დადებულია სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ აქტივებზე, რომელთა ღირებულება 100 მილიონ ლარს აღემატება.

საქართველოს პროკურატურა საზოგადოებას მოუწოდებს, არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოგვაწოდონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია თაღლითური ქოლ-ცენტრების შესაძლო ფუნქციონირების შესახებ, როგორც ცხელი ხაზის – 2 405 222, ასევე, საქართველოს პროკურატურის Facebook-ის, ვებ-გვერდის ან მათთვის ხელსაყრელი ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით, რათა საზოგადოების ჩართულობით, უფრო მეტად ეფექტიანი გახდეს დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული პირების გამოვლენა და მათ მიმართ სათანადო სამართლებრივი ზომების გატარება“, – განაცხადა კვიციანმა.

კიტეს დუბლი, კვარას პენალტი და... დიდი გაურკვევლობა

როგორც იქნა – მიქაუტაძის პირველი საგოლე მოქმედება

ევროპულ ჩემპიონატებში მორიგი ტურის მატჩები შედგა და რაღა თქმა უნდა, ჩვენთვის საინტერესო ქართველი ლეგიონერების გამოსვლები იყო. ოთარ კიტეიშვილის „შტურმმა“, „გრაცერთან“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა – 5:2! ქართველმა ნქახევარმცველმა ორი გოლი გაიტანა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. მთლიანად კიტეს, მიმდინარე სეზონში 5 გოლი მოუგროვდა და ამ მაჩვენებლით, ავსტრიის ჩემპიონატში, ბომბარდირთა შორის, მეხუთე ადგილზეა.

ძალიან, ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ „ლე ჰავრთან“ გასვლით მატჩში, გიორგი მიქაუტაძის საგოლე გადაცემა, მისი დიდი დაბრუნების დასაწყისი იქნება. მართალია, ქართველი შემტევი მოედანზე შეცვლაზე შევიდა, მაგრამ საგოლე გადაცემა შეასრულა, გუნდს გამარჯვებაში დაეხმარა და რაც მთავარია, კარგი შეფასებაც დაიმსახურა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ასე მალე ძირითად შემადგენლობას ვერ დაუბრუნდება, მაგრამ მეტ სათამაშო დროს აშკარად მიიღებს და თუ შანსს გამოიყენებს, მერე არც ძირითადია შორეული პერსპექტივა.

გიორგი ჩაკვეტაძის „უოტფორდი“ სტუმრად „ლუთონთან“ 0:3 დამარცხდა და სიმართლე რომ ვთქვათ, ამ გუნდს სტაბილურობა აკლია. ხან არის და „ჩაკვე“ თანაგუნდელებთან ერთად საოცარ ფეხბურთს აჩვენებს, ხან კი, მოედანზე სტატისტების როლში არიან. არადა, მათ აშკარად შეუძლიათ პრემიერლიგის საგზურისთვის იბრძოლონ და მსოფლიოს უძლერეს ჩემპიონატში ჩვენებურის ხილვა ერთი სიამოვნება იქნება.

ბოსნიაში მოთამაშე გიორგი გულიაშვილმა, „სარაევოს“ მაისურით, მეცხრე მატჩში, მეცხრე გოლი გაიტანა, თუმცა „მოსტარისთვის“ შეგდებული ბურთი არ აღნიშნა, რადგან გასულ სეზონში სწორედ ამ კლუბის ღირსებას იცავდა. ისე, გიორგის ნაკრებში რამდენიმე წუთი რომ დავუთმოთ და შევხედოთ, ურიგო ნამდვილად არ იქნება.

ბუდუ ზივზივაძის „კარლსრუემ“ მძიმე ბრძოლაში „ულმი“ დაამარცხა. ქართველი შემტევი ძირითადში იყო და ორჯერ გატანა შეეძლო, მაგრამ არ გაუმართლა. მისი გუნდი კი ლიდერს მხოლოდ 1 ქულთ ჩამორჩება და უკვე ცხადია, რომ ბუდუს გუნდი ბუნდესლიგის საგზურისთვის იბრძოლებს.

და ხვიჩა კვარაცხელია... „ნაპოლიმ“ გასვლაზე „ემპოლის“ სწორედ ჩვენებურის მიერ გატანილი პენალტით მოუგო. მასპინძელთა შორის, ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია საბა გოგლიჩიძეს და დაიმახსოვრეთ, ეს ბიჭი ბევრად დიდ კლუბში გადავა და ბევრად დიდ ფეხბურთს ითამაშებს. რაც შეეხება კვარას, მას წარმატებას ვულოცავთ, მაგრამ...

ყველა აღიარებს, რომ კვარაცხელია „ნაპოლიში“ მისთვის შეუფერებელ ჯამაგირზე თამაშობს და აბსოლუტურად ყველა თანხმდება, რომ ქართველს იტალიური კლუბისგან ყველაზე მეტი ხელფასი ეკუთვნის, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი, აურელიო დე პაურენტისი ჯიბეში ხელის ჩაყოფას არ აპირებს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ის არც ჩვენებურის გაყიდვაზე იქნება უარს.

„კვარაცხელიასთან კონტრაქტის გაფორმება? ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენთან ერთად იმყოფებიან, „ნაპოლიში“ დარჩებიან. რა მოხდება, თუ კვარა წავა? წარსულშიც არაერთხელ მომხდარა, რომ გუნდიდან მნიშვნელოვანი ფეხბურთელები წასულან და თუ ასე მოხდება, ამ მდგომარეობას გადავლახავთ. თუმცა, მანამდე მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენ ვცემთ ფეხბურელებს პატივს, ისევე სცენ მათ პატივი კლუბს“, – განაცხადა ნეაპოლელთა პრეზიდენტმა.

ჟურნალისტებმა კი გაიხსენეს, რომ პრეზიდენტთან ურჩობის გამო, გასული სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი მანუელ რუი, ახლა მეორე გუნდში ვარჯიშობს და მის გაყიდვაზე პირადად დე ლაურენტისმა თქვა უარი, ხოლო გუნდის ლიდერი ვიქტორ ოსიმენი „გალათასარაიშია“ განათხოვრებული და ახლა თურქეთის ჩემპიონატში ასპარეზობს.

ყრუაშვილმა ისტორია დაწერა

ათიოდე დღის წინ, ერთა ლიგის გათამაშებაში, ფინეთი-ინგლისის მატჩის მთავარი არბიტრი, ქართველი გიორგი ყრუაშვილი იყო. ეს, რა თქმა უნდა, დიდი წარმატებაა, როცა ასეთი დონის შეხვედრებს განდობენ, მაგრამ ის, რაც 22 ოქტომბერს მოხდება, ქართული ფეხბურთისა თუ სამსაჯო ისტორიაში, ახალი ფურცლის ჩაწერაა. ყრუაშვილი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩზე მთავარ მსაჯად დანიშნეს და პირველად მოხდა, რომ ქართველი რეფერი ლიგაზე ჯგუფური ეტაპის შეხვედრას განსჯის.

შეხვედრა ავსტრიულ „შტურმს“ (რომელშიც ოთარ კიტეიშვილი თამაშობს) და პორტუგალიურ „სპორტინგს“ შორის გაიმართება. ყრუაშვილის ასისტენტები – ლევან ვარამაშვილი და ზაზა ფიფია იქნებიან, მეოთხე მსაჯი კი გიორგი ავაზაშვილია.

საქართველოს ნაკრები – 30-ე მსოფლიოში

საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრები, მსოფლიოს 30 ყველაზე ძვირადღირებულ ნაკრებებს შორის მოხვდა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი ეროვნული გუნდის მოთამაშეთა ფასი იმდენად მაღალია, რომ ისინი მსოფლიოს 30 საუკეთესო ნაკრებს შორის არიან. სანამ ყველა ნაკრებს და მათ ღირებულებას გაგაცნობთ, ჩვენი ბიჭების სავარაუდო სატრანსფერო ფასებს შემოგთავაზებთ:

ხვიჩა კვარაცხელია – 80 მილიონი ევრო;
გიორგი მამარდაშვილი – 45 მილიონი ევრო;
გიორგი მიქაუტაძე – 20 მილიონი ევრო;
ოთარ კიტეიშვილი – 5 მილიონი ევრო;
ზურიკო დავითაშვილი – 5 მილიონი ევრო;
ირაკლი აზაროვი – 5 მილიონი ევრო;
საბა გოგლიჩიძე – 5 მილიონი ევრო;
გიორგი ქოჩორაშვილი – 4 მილიონი ევრო;
გიორგი ჩაკვეტაძე – 2.50 მილიონი ევრო;
გიორგი გოჩოლეიშვილი – 2.50 მილიონი ევრო.

რაც შეეხება მსოფლიოს უძვირეს ნაკრებებს. პირველ ადგილზე ინგლისია. ამ გუნდის ფეხბურთელთა ჯამი მილიარდ ევროს აჭარბებს და 1.340 მილიონია. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მააჩვენებლით, ბრაზილიის ნაკრები ოდენ მეხუთე ადგილზეა.

ინგლისი – 1.340 მლნ. ევრო;
საფრანგეთი – 1.060 მლნ. ევრო;
პორტუგალია – 972 მლნ. ევრო;
ნიდერლანდები – 778 მლნ. ევრო;
ბრაზილია – 767 მლნ. ევრო;
ესპანეთი – 750 მლნ. ევრო;
არგენტინა – 735 მლნ. ევრო;
იტალია – 647 მლნ. ევრო;
გერმანია – 581 მლნ. ევრო;
ბელგია – 483 მლნ. ევრო;
საქართველო – 180 მლნ. ევრო.

ბათუმის „დინამო“ ჭიაბრიშვილს ჩააბარეს

არ გამართლდა მოლოდინი და ბათუმის „დინამოში“ არც თემურ ქეცბაია დაინიშნა და არც კახი ცხადაძე. აჭარული კლუბის პოსტზე გიორგი ჭიაბრიშვილი წარადგინეს და მოდით, ვაღიაროთ, რომ ეს ურიგო გადაწყვეტილება არ არის. ჯერ ერთი, ჭიაბრიშვილი ქართულ ფეხბურთში კარგად ერკვევა, სადაც უმუშავია, შედეგი ყველგან ჰქონდა და სათანადო ხელშეწყობის პირობებში, „დინამოსგანაც“ არ უნდა გააკეთოს ცუდი გუნდი, მაგრამ ეს მომავალში, რადგან წელს აჭარლებს არანაირი პერსპექტივა არ აქვთ.

„მიხარია, რომ აქ ვარ. შეთნხმება მოხერხდა და ახლა არ ვაპირებ, ტყუილი დაპირებები გავცე. წელს, „დინამო“ არც გავარდება და არც მაღლა აიწევს, საამისოდ ძალიან ცოტა მატჩია დარჩენილი. ჩვენი სიტყვის თქმას მომავალ სეზონში შევეცდებით“, – განაცხადა ჭიაბრიშვილმა.

ჰერალდესმა შური იძია

ჟუან ჰერალდესი ერთი, არაფრით გამორჩეული მოდელი იყო. უფრო ზუსტად, წარმატებული მოდელი, მაგრამ არა ისეთი, ყოველდღე ტელევიზიით ეჩვენებინათ და მასზე სამოდელო სახლებს ტაციაობა ჰქონოდათ. ჟუანი ჩვენებებზე გამოდიოდა და საკმაო თანხას შოულობდა იმისთვის, რომ თავი ერჩინა.

ჰოდა, ერთ, არც თუ მშვენიერ დღეს, მან გაიგო, რომ საცოლემ უღალატა. გოგონამ არც მეტი, არც ნაკლები, UFC-ის მებრძოლთან გააბა რომანი და ჰერალდესს უთხრა, შენნაირი ნაზი ბიჭები არ მიზიდავს, მე ნამდვილი მამაკაცები მირჩევნიაო. ამის შემდეგ, ჟუანმა სამოდელო კარიერას თავი დაანება და ვარჯიში დაიწყო, მერე შერეულ ორთაბრძოლებში გადავიდა, ბოლოს კი, იმდენი მოახერხა, რომ სწორედ იმ მებრძოლს შეხვდა, რომელთანაც საცოლემ უღალატა. შეხვედრა დიდხანს არ გაგრძელებულა, ჰერალდესმა უძლიერესი დარტყმით მეტოქე გათიშა და დარბაზში მყოფ ყოფილ შეყვარებულს ჰაეროვანი კოცნაც გაუგზავნა.

ორი ლეგენდა, ორი რეკორდი

გასულ უქმეებზე, ერთბაშად ორი რეკორდი დამყარდა. პირველის შემოქმედი ლეგენდარული ლუკა მოდრიჩია, რომელიც მადრიდის „რეალის“ მაისურით, „სელტას“ წინააღმდეგ გამოჩნდა მოედანზე და გახდა უხუცესი მოთამაშე „სამეფო გუნდის“ ისტორიაში, რომელიც ოფიციალურ შეხვედრაში გამოჩნდა. ლუკა იმ მომენტისთვის 39 წლისა და 40 დღის იყო. მანამდე, აღნიშნული რეკორდი არანაკლებ ლეგენდარულ ფერენც პუშკაშს ეკუთვნოდა, რომელმაც „რეალის“ მაისურით, 39 წლის და 36 დღის ასაკში ითამაშა. მოდრიჩი თავისივე რეკორდს აუცილებლად გააუმჯობესებს, რადგან სეზონი ახალი დაწყებულია და წინ კიდევ ბევრი მატჩია ჩასატარებელი.

მეორე რეკორდი ამერიკაში დამყარდა და რა ძნელი მისახვედრია, რომ ის ლიონელ მესის ეკუთვნის. არგენტინელმა ლეგენდამ „ინტერ მაიამის“ მაისურით, 33-ე გოლი შეაგდო და კლუბის ისტორიაში საუკეთესო გოლეადორი გახდა. წინა რეკორდი – 32 გოლი ეკვადორელ ლეონარდო კამპანიას ეკუთვნოდა. ამასთან ერთად, „ინტერ მაიამი“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე მიიწვიეს, ტურნირზე, რომელზე ასპარეზობის უფლებაც მათ არ ჰქონდათ, მაგრამ მესის ფაქტორი გადასარევად მუშაობს – მისი თამაშის სანახავად, სტადიონი მუდმივად პირთამდე ივსება.

ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები

ირევაზ ინანიშვილი

კრწანისის ომში დამარცხებულმა ერეკლე მეფემ, რამდენიმე თანმხლებთან ერთად, არაგვის ხეობას შეაფარა თავი. დღესაც არავინ იცის, სად იმყოფებოდა სამ დღეს, მეოთხე დღეს კი ანანურის ციხეში გამოჩნდა. ეს გამოჩენაც იდუმალებით იყო მოცული. მხოლოდ ციხის ბურჯებზე უმატეს გუშაგებს, მალიმალ მიმოქროდნენ თავდაღუნული მდუმარე მხედრები. სოფლებში ჩურჩულითა და ვიშვიშით გადადიოდა ხან ერთი ამბავი, ხან მეორე, დედაკაცები მუხლებში იცემდნენ ხელებს, მხრებაცახცახებულნი თვალებზე იფარებდნენ მოსახვევის ბოლოებს.

ნაშუადღევს ჩოჩქოლო ატყდა ციხის ეზოში. მეციხოვნეებს ვიღაც ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი შეეპყროთ, კარისკენ ეწეოდნენ, მაგრამ ბიჭი არ ნებდებოდა, წიხლებს ისროდა, იკბინებოდა და ყვიროდა:

– მეფესთან მიმიშვით, დიდი საქმე მაქვს, მეფესთან მიმიშვით! მეციხოვნეები პირზე ხელს აფარებდნენ, წააქციეს, ზოგი ფეხებში ჩაეჭიდა, ზოგი ხელებში, ასწიეს, ასე წაიღეს.

ბიჭი მაინც იბრძოდა და ყვიროდა:

– დიდო მეფეო! დიდო მეფეო! ამ ჩოჩქოლსა და აურზაურში კოჭლობით, მაგრამ ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ციხისთავი.

მარცხენა ხელი კისერზე ჰქონდა დაკიდებული ქალის მანდილით. მეციხოვნეებმა რომ დაინახეს, გაჩერდნენ, ბიჭი ძირს დასწიეს, ხელი მაინც არ გაუშვიათ.

– რა ამბავია, რა მოხდა? – იკითხა ციხისთავმა.

– მეფესთან მიმიშვითო, დილას აქეთია, აფთარივით უვლის ციხეს. გავაგდეთ, ვცემეთ, მაინც გადმობობღდა გალავანზე, – მიუგო ერთმა მეციხოვნემ.

მიწაზე გულაღმა გაკავებულმა ბიჭმა ამოიბრძოლა, თავი ვერ გაითავისუფლა და დაბლიდან ამოიმუდარა:

– მიმიშვით, თქვენი ჭირიმე, დიდი საქმე მაქვს, ქვეყნისთვის საჭირო საქმე. ციხისთავმა ვერაფერი თქვა. თვალი კოშკისკენ გაექცა.

იქიდან თითქოს ვიღაცამ რაღაც ნიშანი მისცა, ციხისთავმა თავი დაუქნია და მეციხოვნეებს უბრძანა:

– გაუშვით ხელი!

მეციხოვნეებმა ბიჭს ხელი გაუშვეს. ბიჭი წამოდგა, შარვალი მიიწ-მოიწია, მტვერი ჩამოიბერტყა. ერთმა მეციხოვნემ დაძენძილი ნაბდის ქუდი მიაწოდა.

– სადაური ხარ? – ჰკითხა ციხისთავმა.

– აქაური.

– რომლისა?

– მზევარისა.

– რა გინდა მეფესთან?

– პირადად უნდა მოვახსენო.

– გაჩხრიკეთ.

მეციხოვნეები ეცნენ და ჩხრეკა დაუწყეს. ბიჭი ხელებაწეული იდგა და მოთმინებით იცდიდა. მარტო ხელისგულისოდენა ქერის ხმიადის ნატეხი და ნივრის ორი კბილი ამოუღეს ჯიბიდან. ისიც მაშინვე დაუბრუნეს.

– წამომყევი. ბიჭმა ერთხელაც გაისწორა დაძენძილი შარვალი და ციხისთავს გაჰყვა. დაბალი იყო, განიერი, როგორღაც განზე მიჰქონდა მძიმე, დაშაშრული შიშველი ფეხები. გაიარეს გრილი კედლებით შემოზღუდული ლაბირინთი, ავიდნენ კიბეებზე და ერთ კარს მიადგნენ. იმ კარს აქეთ-იქიდან თოფიანი მცველები ედგნენ. ციხისთავმა ბიჭი აქ დატოვა და თვითონ შიგნით შევიდა.

გაღებულ კარში ბიჭმა დიდებული იერის მოხუცი დაინახა. გუმანმა უთხრა, მეფე ეს უნდა ყოფილიყო. გაიწია, მაგრამ მცველებმა არ გაუშვეს, თოფები გადაუღობეს.

– გამოატარეთ! – მოისმა ციხისთავის ხმა.

ბიჭი კარში შევიდა. ციხისთავმა მხარზე ხელი მოსდო, ცოტაზე ასე წაჰყვა და მერე გვერდზე გადგა. რაღაცისთვის ტახტისკენ დახრილი მოხუცი მეფე ბიჭისკენ შემობრუნდა, ნელ-ნელა აიწია, გასწორდა, ბიჭმა სახეში შეხედა, ფეხი აერია, ჩაიჩოქა და ასე, მუხლებზე დაჩოქილი, აცრემლებული წავიდა მეფისკენ. მეფე შეწუხდა, თვითონ წამოვიდა ბიჭისკენ, მხრებში ხელები მოჰკიდა, წამოაყენა. ბიჭი ცდილობდა, მაგრამ ტირილი ვერ შეეკავებინა. მეფემაც რამდენჯერმე უმწეოდ დაახამხამა თვალები, მაგრამ ეს თვალები მიჩვეულნი იყვნენ მსგავს სანახაობებს და სწრაფადვე დაუბრუნეს სიმტკიცე.

– დამშვიდდი, ნურაფრისა გეშინია, შვილო, – თქვა მეფემ წყნარი, ბზარგარეული ხმით.

– მე არაფრისა მეშინია, მეფევ.

– აბა, რა გიჭირს, რამ შეგაწუხა, შვილო?

– თათრები არ უნდა მოგვრეოდნენ, დიდო მეფევ, თათრები ჩვენი მომრევები არ არიან! მოხუცმა მეფემ შუბლზე ხელის ზურგი აისვა, თითქოს ჩამოწეწილი თმა აიწია მაღლა.

– მდიდრები გღალატობენ, მეფევ! – ბიჭმა ღონივრად შეკუმშული მჯიღი ნიკაპთან მიიტანა, – მდიდრებს რატომ ენდობი, დიდო მეფევ! მდიდარი ლამაზია, მდიდარს შინ ქონება რჩება, ძვირფასი რამეები რჩება. გაჭირვებაში მტერსაც მისცემს და თვითონაც ეყოფა. მდიდარი ბრძოლაში თავს რად დასდებს! ომში ჩვენ უნდა წაგვიყვანო, ობლები, უქონლები, ულამაზოები. გაჭირვებაში გამოჩეჩქვილები. ქვეყნის იმედით ჩვენა ვცხოვრობთ. ჩვენ ვის რას უნდა მოვუფრთხილდეთ! აბა, შემომხედე, სხვებიც ჩემნაირები არიან, ქვიდან გამოტეხილი ქაჯები და ეშმაკები! ჩვენ ჭრილობები ვერ დაგვამახინჯებს. პირიქით, მოგვიხდება კიდეც. გაგვიძეხი, მეფევ, ჩვენ გაგვიძეხი! ასამდე ობოლს, ქვრივ-ოხრის შვილს, კომბლიანებს მე გამოვიყვან მარტო! გაგვიძეხი, მეფევ, და შენი თვალით ნახავ, ჩვენი მომრევი არავინ არის ქვეყანაზე. შვიდი კომბლიანი აქვე მიცდის ციხის ძირში. მეფემ კიდევ ერთხელ აისვა შუბზე ხელი და ტახტზე დაჯდა. ბიჭისთვის თვალი არ მოუშორებია, ხელი ახლა მუხლზე ედო, მოიჭერდა მუხლზე და გაშლიდა, მოიჭერდა და გაშლიდა...

– შეგიძლია, ისინიც მოიყვანო?

– კომბლებიანად?

– კომბლებიანად.

– ეხლავე. ბიჭი მიბრუნდა და ჯიქური ნაბიჯით წავიდა, მაგრამ უცებ შედგა და აბნეულმა მომოიხედა. თურმე კარს ასცდენოდა. ბედად ციხისთავმა მოუსწრო, – აქეთ, მზევარის ბიჭოო, – და წინ წაუძღვა.

* * *

არ გასულა ნახევარი საათი და ციხისთავი და მზევარის ბიჭი კუშტად გამომზირალ, აჯაგრულ, აფხორილ კომბლებიან ბიჭებს შემოუძღვნენ დარბაზში. ახლა მზევარის ბიჭსაც გატუსული, ბევრი ხმარებისაგან გაპრიალებული, ვეებათავიანი შვინდის კომბალი ეჭირა. ციხისთავმა ამჯერადაც გვერდზე გაიწია და ბიჭებს ანიშნა, აქ გაჩერდითო. ბიჭები შეჯგუფდნენ, ერთმანეთისკენ მიიწივნენ, ერთმანეთის ზურგებს ამოეფარნენ და კომბლები მორიდებით ჩაიყუდეს შიშველ, გაუხეშებულ ფეხებს შორის. მეფე წამოვიდა, ნელი ნაბიჯით მოახლოვდა და მზევარის ბიჭს ღიმილით ჰკითხა:

– ესენი არიან შენი ულამაზოები?

– ესენი, დიდო მეფევ, ამ კომბლებით, ვისაც გინდათ, იმას გაუმკლავდებიან. ბიჭები უარესად დაკოხნენ, შეტოკდნენ და ქვეშ-ქვეშ გამოიხედეს მეფისკენ. მეფემ ყველა ბიჭს ხელი ჩამოართვა, ცოტა უკან დაიწია, უყურა, უყურა და გულში გამდნარ ტყვიასავით ჩაეღვენთა: „საცოდავი ქვეყნის საცოდავი შვილები“... ხმამაღლა კი ეს თქვა მშვიდად, დაყვავებით:

– სულ მალე დაგიძახებთ, ბიჭებო, მაჰმადხანს ერთიანად უნდა ვაზღვევინოთ ჩვენი სისხლი. ახლა მდივანი ჩაგწერთ და თქვენ-თქვენს სახლებში წადით. როცა საჭირო იქნება, დაგიძახებთ, როცა დრო დადგება, მაშინვე დაგიძახებთ.

– ოღონდ მდიდრების გვერდით არ დავდგებით! – წამოიძახა მზევარის ბიჭმა.

– არა, თქვენი რაზმი ცალკე იდგება!

მეფემ ხელი მაღლა ასწია. ციხისთავი წინ წამოვიდა და ბიჭებს ანიშნა, წასვლის დროაო. მზევარის ბიჭმა მისი მკლავის ზემოდან ერთხელ კიდევ დაუძახა მეფეს:

– ჩვენ-ჩვენი კომბლებით უნდა წამოვიდეთ.

– თქვენ-თქვენი კომბლებით, რა თქმა უნდა, – მიუგო მეფემ.

* * *

გაიარეს გადახრილი მზით განათებული ციხის ეზო, გვერდზე გაიყოლეს გრძელ-გრძელი ჩრდილები და მერე ნელ-ნელა ჩავიდნენ ბნელ ლაბირინთში, თითქოს სამუდამოდ ჩაეფარნენ მიწას.

ოთხმოცი წლის შემდეგ კი, ანანურზე გამავალი სამხედრო გზის პირას, ხშირად იდგა ხოლმე უსინათლო მოხუცი, რომელიც ყოველ ზემოთამვლელს ეკითხებოდა, დამძახებელი ხომ არა ხარ ქალაქიდანო. ვინც მოხუცს არ იცნობდა, ვერ ხვდებოდა, ვინ დამძახებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინც იცნობდა, ეტყოდა, – არა, დამძახებელი არა ვარ, მზევარის ბიჭოო, – და თავჩაღუნული, სევდამოწოლილი განაგრძობდა გზას. მოხუცს ქინთა-ქინთად ქცეული ახალუხის ჯიბის პირზე სამი რუსული ძველი მედალი ეკიდა – გამურულ ქვაზე დაღვენთილი წმინდა სანთლის ფერისა.

კემერონ დიასი ეკრანებზე ბრუნდება

ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობი კემერონ დიასი, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ეკრანებზე ბრუნდება. ამის შესახებ ინფორმაციას The Hollywood Reporter ავრცელებს. დიასმა გადასაღები მოედანი ათი წლის წინ დატოვა და გადაწყვიტა, თავი ოჯახისთვის მიეძღვნა. ბოლოს ის 2014 წელს გამოჩნდა ეკრანებზე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მსახიობმა ორი წიგნი დაწერა და ორგანული ღვინის საკუთარი ბრენდი Avaline გამოუშვა. „ეს უნდა გამეკეთებინა. ვფიქრობდი, რომ იმ დროს ეს იყო ყველაზე სწორი გადაწყვეტილება, დამებრუნებინა ჩემთვის საკუთარი თავი და სხვა ყველაფერი ფეხებზე მეკიდა. არავისი აზრი, არავისი წარმატება, შეთავაზება, არაფერს შეეძლო ჩემთვის გადაწყვეტილება შეეცვლევინებინა“, – აღნიშნავს დიასი. 2015 წელს ის მუსიკოს ბენჯი მედენს გაჰყვა ცოლად და წყვილი ორ შვილს ზრდის. მსახიობი ამჟამად რამდენიმე პროექტშია დაკავებული, რომელთაგან უახლოესი Netflix-ის ფილმი იქნება, სიმბოლური სახელწოდებით – „ისევ საქმეში“. სურათი ეკრანებზე 2025 წელს გამოვა.

პრაღაში „ლუდის ტურებს“ კრძალავენ

ჩეხეთის დედაქალაქში აპირებენ, პაბებში ღამის გასეირნებები აკრძალონ, რომელსაც ტურისტული საგენტოები უწევენ ორგანიზებას. აკრძალვის მიზეზი ის არის, რომ ხმაურიანი ტურისტები „შეავიწროვონ“ და მათ ნაცვლად, უფრო „დახვეწილი“ მოგზაურები მიიზიდონ. პრაღის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ბარებში ორგანიზებული სიარული ღამის ათი საათიდან, დილის ექვს საათამდე აიკრძალება. მერის მოადგილის თქმით, სურს, რომ დედაქალაქი იყოს ის ადგილი, „სადაც საერთო საჯარო სივრცის კეთილმოწყობა და პატივისცემა პრიორიტეტი იქნება“. აღსანიშნავია, რომ პრაღა მარტო არ არის ხმაურიანი ტურისტების, განსაკუთრებით, ბრიტანელების თავიდან აცილების მცდელობაში. შარშან ამსტერდამში დაიწყეს კამპანია, უარი ეთქმევინებინათ ბრიტანელი ტურისტებისთვის ჰოლანდიის დედაქალაქის მონახულებაზე, რომლებიც იქ მხოლოდ ბევრი დასალევისა და ნარკოტიკის მოხმარების მიზნით ჩადიან.

მთვარის სკაფანდრი „პრადასგან“

იტალიურმა მოდის სახლმა – Prada და კერძო კოსმოსურმა კომპანიამ – Axiom Space, ერთობლივი ნამუშევარი წარადგინეს – ეს სკაფანდრია მთვარეზე, NASA-ს მომავალი მისიისთვის. ცნობილ ბრენდთან თანამშრომლობის შესახებ კოსმოსურმა კომპანიამ ერთი წლის წინ განაცხადა, როცა სკაფანდრ „არტემიდა-3“-ის შექმნაზე გაავრცელა ინფორმაცია. ვარაუდობენ, რომ მისია მთვარეზე 2026 წელს გაეშურება და 1972 წლის შემდეგ, პირველი პილოტირებული გაფრენა იქნება დედამიწის თანამგზავრისკენ. კომპანია აღნიშნავს, რომ სკაფანდრები გაუძლებენ ექსტრემალურ პირობებს მთვარის სამხრეთ პოლუსზე და დაბალ ტემპერატურებს – მუდმივად ჩრდილში მყოფ რეგიონებში. ამ სკაფანდრებში ასტრონავტებს ღია კოსმოსში ყოფნა რვა საათს შეეძლებათ. აღჭურვილობამ გარკვეული ტესტირება გაიარა, მათ შორის, წყალქვეშა ცდებიც. თანამგზავრზე ოთხი ასტრონავტი გაემგზავრება და კოსმოსში 30 დღეს გაატარებენ.

სახლის სარდაფში უძველესი სამარხი აღმოაჩინა

საფრანგეთში, პარიზის სიახლოვეს, ერთ-ერთი სახლის მფლობელმა, სარდაფში რემონტისას, იქ ჩონჩხი და სამარხი აღმოაჩინა. ამის შემდეგ საქმეს არქეოლოგები შეუდგნენ და ამჟამად მათ უკვე 38 საფლავი ნახეს. დიდი ალბათობით, მეცნიერებმა ადრეული შუა საუკუნეებისდროინდელ სასაფლაოს მიაგნეს, რადგან ამ ადგილას VII საუკუნის ეკლესია იდგა, რომელიც თავის მხრივ, უძველესი წარმართული ტაძრის ადგილას აშენდა. აღმოჩენილ სამარხზე ყველაზე ძველი საფლავი III საუკუნისაა – გვიანდელი რომის იმპერიის დროის, ყველაზე გვიანდელი კი – X საუკუნის. გამოდის, რომ სასაფლაო, დაახლოებით, 700 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა. აღმოჩენილ სამარხში ათი ადამიანის ჩონჩხი ნახეს, თაბაშირის სარკოფაგებში, რომლებიც მარაოსებურად ივყნენ დაკრძალულნი. ფრანგი არქეოლოგები იმედოვნებენ, რომ სამარხი საშუალებას მისცემთ, უკეთ გაიგონ, როგორი მოსახლეობა ცხოვრობდა ამ რაიონში გვაინ ანტიკურ და შუა საუკუნეებში, ასევე, როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში დაკრძალვის ტრადიციები.

აუქციონზე რობოტის ნახატს გაყიდიან

სურათი, რომელიც რობოტმა-ჰუმანოიდმა შექმნა, პირველად იქნება გატანილი ერთ-ერთი ყველაზე დიდი აუქციონის სახლის, Sotheby's-ის ვაჭრობაზე. ნახატს, სახელწოდებით „ხელოვნური ინტელექტის ღმერთი", გასაყიდად ლონდონში, თვის ბოლო დღეს გაიტანენ. საუბარია ინგლისელი მათემატიკოსის – ალან ტიურინგის (1912-1954 წწ.) პორტრეტზე, რომელმაც ნაცისტური დაშიფვრის მანქანის Enigma-ს კოდი გატეხა. ორმეტრიანი ტილოს ღირებულება, სავარაუდოდ, 130 ათასიდან 196 ათას დოლარამდე იქნება. სურათის ავტორი კი რობოტი-მხატვარი AI-D-აა. ამ ჭკვიან მანქანას ქალის სახე აქვს და მას სახელი ისტორიაში პირველი პროგრამისტი ქალის – ადა ლავლეისის პატივსაცემად უწოდეს.

ეგვიპტეში გრანდიოზული მუზეუმი გახსნეს

ოცწლიანი მშენებლობის შემდეგ, ეგვიპტეში, გიზაში უზარმაზარი მუზეუმი გაიხსნა, სადაც უძველესი ეგვიპტური არტეფაქტების მსოფლიოში უდიდესი კოლექციაა წარდგენილი. სამუზეუმო კომპლექსი 500 ათას კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული და ის 100 ათასზე მეტ ექსპონატს იტევს, მათ შორის, საგანძურს ტუტანჰამონის სარკოფაგიდან. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის ღირებულებამ მილიარდ დოლარს გადააჭარბა. მუზეუმი 12 დარბაზად არის დაყოფილი და იქ ძველი ეგვიპტის შესახებ ექსპონატებია წარდგენილი. ამჟამად, დამთვალიერებლებს შეუძლიათ იხილონ სხვადასხვა საგნები – ქანდაკებები, სარკოფაგები, მუმიები. სამუზეუმო კომპლექსს დღეში 4 ათასამდე დამთვალიერებლის მასპინძლობა შეუძლია. ამ დროისთვის ვიზიტორებისთვის ღია გამოფენის ნაწილები სატესტო რეჟიმში მუშაობს. მუზეუმის წარმომადგენლის თქმით, ყველა დარბაზი აღჭურვილია მოწინავე ტექნოლოგიებით და მულტიმედიური საპრეზენტაციო აპარატებით.

რეცეპტებს საფლავის ქვებიდან აგროვებს

ამერიკელმა როზი გრანტმა პოპულარობა საკუთარი, მეტად უჩვეულო ჰობის წყალობით მოიპოვა. ის კულინარიულ რეცეპტებს აგროვებს, რომლებიც საფლავების ქვებზეა ამოტვიფრული. ერთი წლის წინ, როზი საბიბლიოთეკო საქმეს სწავლობდა მერილენდის უნივერსიტეტში და სტაჟირებას კონგრესის სასაფლაოს არქივში გადიოდა. სოციალურ ქსელში მან სწავლების შესახებ ფოტოების გავრცელება დაიწყო ანუ რეპორტაჟები სასაფლაოდან. სწორედ ამ პერიოდში, „გარდაცვლილთა ქალაქში" ჩაფლულმა, აღმოაჩინა საფლავის ქვაზე პირველი რეცეპტი, რომლის მიხედვითაც კერძი მოამზადა. როზი ამ საქმიანობამ გაიტაცა და შედეგად, პოპულარობაც მოუტანა.

ჰიპერტონიისგან რძე დაგიცავთ

ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერთა გამოკვლევებით დადგინდა, რომ ქალები, რომლებიც დღეში მინიმუმ 0.5 ლიტრ უცხიმო რძეს სვამენ, ნაკლებად არიან ჰიპერტონიის განვითარების რისკის ქვეშ. ასეთ დასკვნამდე სწავლულები საშუალო ასაკის 3 ათასი მანდილოსნის შესწავლის შემდეგ მივიდნენ. მათ, რომლებიც რძეს თვეში ერთხელ სვამენ, გულის დისფუნქციის რისკი 10%-ით უქვეითდებათ იმ ქალებთან შედარებით, რომლებიც ყოველდღე 2 ან მეტ ჭიქა რძეს სვამენ. ექიმების მოსაზრებით, ცხიმის დაბალი შემცველობის მქონე რძე ხელს უწყობს წნევის სტაბილიზაციას და ორგანიზმს 9 საკვები ნივთიერებით, მათ შორის „ა" და „დე" ვიტამინებით, კალიუმითა და კალციუმით უზრუნველყოფს.

წყვილმა თოჯინები იშვილა

ბრიტანეთის ქალაქ ოქსფორდში მცხოვრებმა წყვილმა, რომელთაც საკუთარი შვილების ყოლის შესაძლებლობა არ აქვთ, სათამაშო ჩვილებზე დაიწყეს ზრუნვა. 39 წლის ჯეინ ბერი ოსტეოპოროზით არის დაავადებული, ამიტომ მეუღლესთან ერთად, გადაწყვიტა, სამ თოჯინაზე გადაიტანოს დედობრივი მზრუნველობა. წყვილი ყველგან მათთან ერთად დადის და მეტიც, „აჭმევენ“ თოჯინებს, მოგზაურობაში, ან სასეირნოდაც დაყავთ. მანქანის უკანა სავარძელზე, მათთვის საბავშვო სკამებიც კი დადგეს. „ადამიანები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ ჩვენზე, ბევრს გიჟები ვგონივართ და შეურაცხყოფას გვაყენებენ“, – აცხადებს გულდაწყვეტილი წყვილი.

სასამართლოს უჩვეულო გადაწყვეტილება

დიდ ბრიტანეთში, ძალადობაში ბრალდებულ მამაკაცს სასამართლომ დააკისრა, პოლიციას წინასწარ, ერთი დღით ადრე აცნობოს მომავალი ინტიმური აქტების შესახებ, ასევე, სავარაუდო პარტნიორის სახელი, ასაკი და მისამართიც უნდა გაამხილოს. განაჩენის დარღვევის შემთხვევაში, მამაკაცს 5 წლამდე პატიმრობა ელის. ბრალდებული, რომლის სახელსაც არ ახმაურებენ, აცხადებდა, რომ ძალადობის მსხვერპლად მიჩნეული ქალი თანახმა იყო სექსზე. ის რამდენიმე თვის წინ, სასამართლომ გაამართლა, თუმცა მამაკაცი დაავალდებულა, სამართალდამცავებს აცნობოს საღამოს გეგმების თაობაზე. გარდა ამისა, ბრიტანელმა პოლიცია მისამართის შეცვლის შემთხვევაშიც უნდა გააფრთხილოს, მანვე უნდა დაიცვას ინტერნეტითა და მობილური გაჯეტებით სარგებლობის შეზღუდვები.

მუშაობაში ხელს უძილობა უშლით

კანადელი მოსახლეობის შრომისუნარიანობის დაქვეითების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უძილობაა. მხოლოდ პატარა პროვინცია კვებეკში, რომლის მოსახლეობაც 7 მილიონს შეადგენს, უძილობის სამკურნალოდ წელიწადში, დაახლოებით, 6.5 მილიარდი დოლარი იხარჯება. ეს რიცხვი Hackensaack Uvibersity-ის ექსპერტებმა გამოთვალეს. უძილო ღამეების გამო, რომელსაც თან შფოთიანობა და დეპრესიაც ემატება, კანდელები სულ უფრო ხშირად ამჩნევენ, რომ ძალიან უჭირთ სამსახურში სამუშაოსთვის თავის გართმევა და დაკისრებულ მოვალეობებს დროზე ვერ ასრულებენ. როგორც აშშ-ში, კანადაშიც უძილობას ბევრი სადაზღვევო კომპანია იმ სამედიცინო პირობად არ მიიჩნევს, რომელსაც მკურნალობა სჭირდება. არადა, გამოკვლევების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის 10%-ს უკვე ქრონიკული უძილობა სტანჯავს. ამ პრობლემის მოგვარებას სუსტი სქესის წარმომადგენელთა 60% ალკოჰოლით ცდილობს. გამოკვლევებმა ისიც დაადგინა, რომ უძილობის გამო, ადამიანი წელიწადში 27 სამუშაო დღეს აცდენს, რაც 5 მილიარდი დოლარის დანაკარგს იწვევს.

გოგონა ნახევარი ტვინით ცხოვრობს

16 წლის ამერიკელმა მორა ლეებმა ნიუ-ჯერსის შტატიდან, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვობაში ამოკვეთეს ტვინის მარცხენა ნახევარსფერო, ისწავლა სიარული, ლაპარაკი და ჩოგბურთის თამაშიც კი. გოგონას ტვინის ნახევარი ცხრა თვის ასაკში ამოუღეს, რადგან დედის მუცელში მყოფმა ინსულტი გადაიტანა. ამის გამო, გოგონას ძლიერი კრუნჩხვები ჰქონდა, რომელიც შესაძლოა ტვინის ჯანმრთელ ნაწილშიც გადასულიყო და პროცესი შეუქცევადი გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სიარულისა და მეტყველების უნარზე პასუხისმგებელია ტვინის მარცხენა ნახევარსფერო, სხვა ჯანმრთელ ნაწილებს შეუძლიათ, საკუთარ თავზე აიღონ ეს ფუნქციები, რაც დაეხმარა კიდეც მორას, ესწავლა სრულყოფილი ცხოვრებით არსებობა. მან არა მხოლოდ მარტივი საყოფაცხოვრებო ამოცანების შესრულება ისწავლა, არამედ, თამაშობს კიდეც განმავითარებელ თამაშებს და სკოლაშიც სწავლობს. 11 წლისას, გოგონას კვლავ დაეწყო შეტევები და მას ტვინზე მორიგი ოპერაცია დასჭირდა, თუმცა მორამ მალევე შეძლო ჯანმრთელობის აღდგენა. ის ახლა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კვლევებში, რათა დაეხმაროს ნეირობიოლოგებს, უკეთ შეისწავლონ ტვინის მუშაობა.

„ბედნიერების სამკუთხედი“ აღმოაჩინეს

ავსტრალიელმა ფსიქოლოგებმა, მელბურნის უნივერსიტეტიდან, გამოარკვიეს სამი ძირითადი ელემენტი, რაც ადამიანს სრულ ბედნიერებას ანიჭებს. „ბედნიერების სამკუთხედს“ ქმნის საყვარელი პარტნიორის არსებობა, ფული 100 ათას დოლარამდე და სოციალური აქტივობა, რომელიც ცხოვრების მიზანს განსაზღვრავს. ისეთი „უმნიშვნელო რამ“, როგორიცაა ზედმეტი წონაა, ადრე ჩატარებული გამოკვლევების შედეგების მიუხედავად, ბედნიერებას ხელს არ უშლის. სწავლულები ყველა ექიმს ურჩევენ, უფრო მეტად იზრუნონ პაციენტის ბედნიერებაზე მთლიანობაში, ვიდრე მხოლოდ მის სისხლში ქოლესტერინის დონესა და მაღალი წნევის დარეგულირებაზე. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგებმა შემდეგი რამ აჩვენა: ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა (გარდა მძიმე სენისა), არ შედის „ბედნიერების სამკუთხედში“. ბედნიერების მაჩვენებელი, მაგალითად, სიმსუქნის მეორე და მესამე ხარისხის მქონეთა შორის, შესაძლოა, ცოტათი დაეცეს. ბედნიერების შეგრძნებისთვის არც ისე მნიშვნელოვანია, ასევე, საცხოვრებელი ადგილი, პროფესია, ბავშვების არსებობა, ან არარსებობა. ავსტრალიელი სწავლულები იმასაც ადასტურებენ, რომ ასაკთან ერთად, ადამიანების ცხოვრება ნამდვილად უმჯობესდება და ისინი თავს უფრო ბედნიერად გრძნობენ.

კოსმონავტებს მთვარეზე ბინებს აუშენებენ

ინდოეთის კოსმოსურ სააგენტო ISRO-ს ყველა შანსი აქვს, პირველი კოსმოსური დეველოპერი გახდეს – სააგენტოს სპეციალისტები მთვარეზე ასტრონავტებისთვის პირველი საცხოვრებლების მშენებლობას განიხილავენ. თუმცა, მთვარის ქალაქი პლანეტის მიღმა საუკეთესო არქიტექტურული დედაქალაქის წოდების მიღების პრეტენდენტი ნადვილად ვერ იქნება: საცხოვრებლების პირველი ესკიზების მიხედვით, კოლონისტების სახლები ესკიმოსების ყინულოვან სახლებს უფრო ჰგავს. ინდური კოსმოსური სააგენტოს წარმომადგენლები ამბობენ, რომ მთვარეზე საცხოვრებლებზე ექსპერიმენტები, პირველ რიგში, იმ მასალებისა და ხსნარების შემოწმებას უკავშირდება, რომლებიც საიმედო კონსტრუქციების ასაშენებლად არის საჭირო. რაც შეეხება საცხოვრებელ პირობებს, ინდოელი სწავლულები მიიჩნევენ, რომ ეს პრობლემა მას შემდეგ უნდა მოგვარდეს, რაც უჟანგბადო, უწყლო და სხვა ატმოსფერული თვისებების პირობებში, სწრაფი მშენებლობის კონცეფცია გადაიჭრება.

პლასტიკატის შეფუთვა თავის ტკივილს იწვევს

აშშ-ს კანზასის უნივერსიტეტის მკვლევარები, რომელთაც მღრღნელების თავის ტვინზე ბისფენოლის ზემოქმედება შეისწავლეს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პლასტიკური შეფუთვა თავის ტკივილებს იწვევს. სწავლულებმა ექსპერიმენტი თაგვებზე ჩაატარეს და მათი ქცევა გააანალიზეს: ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი თაგვები უფრო პასიურები ხდებოდნენ. ამერიკელი სწავლულები ამტკიცებენ, რომ ბისფენოლმა, რომელსაც პლასტმასის ბოთლები თუ საკვების შეფუთვა შეიცავს, თაგვებში თავის ტკივილი გამოიწვია. კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ამ ნივთიერების ორგანიზმზე მოქმედების გამო, თავის ტკივილის სიმპტომები უფრო მკვეთრად გამოიხატება.

კაფე სიკვდილის თემაზე



ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში, თემატური კაფე გაიხსნა, რომელიც სიკვდილს ეძღვნება. კაფეს ცენტრში თეთრი კუბო დგას, კლიენტებს კი, რომლებიც დათანხმდებიან, მისი სახურავის ქვეშ რამდენიმე წუთი გაატარონ, ფასდაკლებით ემსახურებიან. ადგილობრივი მედიის ცნობით, თავად დაწესებულების ინტერიერიც თემატურად არის გაფორმებული – დივანის კუთხეში ადამიანის ჩონჩხი „ზის“, სასმელების დასახელებები მენიუში კი აჭრელებულია სიტყვებით – „სიკვდილი“ და „ტკივილი“. კაფეს მფლობელის თქმით, ტაილანდის მცხოვრებლებს ახსენებს, რომ სიცოცხლე ხანმოკლეა. კუბოში გატარებული რამდენიმე წუთი კი, მისი აზრით, განსაკუთრებით სასარგებლოა მოზარდებისთვის – თავდახურულ სივრცეში აღმოჩენისას, ისინი იხსენებენ, რამდენი რამ აქვთ გასაკეთებელი.

ლეკვი – თაიგულის ნაცვლად

აშშ-ში გამართულ საქორწინო ცერემონიაზე, პატარძალმა ენდი ონდიონამ გადაწყვიტა, ტრადიციული თაიგულის ნაცვლად, ხელში ლეკვი დაეჭირა. პატარძლის მეჯვარეებიც საკურთხეველთან ძაღლებით ხელში მივიდნენ. როგორც აღმოჩნდა, დედოფალი მოხალისედ მუშაობს ორგანიზაციაში, რომელიც უსახლკარო ცხოველებისთვის პატრონის მოძიებით არის დაკავებული. ენდი ამბობს, რომ ამ ჟესტით სურდა პრობლემაზე ყურადღების მიპყრობა. მოგვიანებით, ქორწილის სტუმრებს მისცეს შესაძლებლობა, თავად აერჩიათ თითო ლეკვი, რომელსაც სახლში წაიყვანენ და უპატრონებენ.

მაკარონი გახდომაში დაგეხმარებათ

კანადელი სწავლულები ამტკიცებენ, რომ დიეტის დროს მაკარონის გამოყენება დასაშვებია. ტორონტოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა ამ თემაზე კვლევა ჩაატარეს. მათ ექსპერიმენტში 2 500 მოხალისე მონაწილეობდა. თითოეული მათგანი კონკრეტულ დიეტას იცავდა. ნახშირწყლების სახით კი მათ მხოლოდ მაკარონის მირთმევა შეეძლოთ. კვლევის ბოლოს აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა მოხალისემ, საშუალოდ, კილო-ნახევარი დაიკლო, არადა, ისინი კვირის განმავლობაში, სამ ულუფა მაკარონის კერძს მიირთმევდნენ. სპეციალისტების თქმით, მაკარონს დაბალი გლიკემიური ინდექსი აქვს. ეს პროდუქტი ხელს უწყობს სისხლში შაქრის დონის კონტროლს და ორგანიზმის მიერ ნელა აითვისება.

ტვინის სიმსივნეს ცოფის ვირუსით დაამარცხებენ

სამხრეთ კორეელმა სწავლულებმა, ტვინის სიმსივნეების სამკურნალოდ ნანონაწილაკები შექმნეს, რომლებიც ცენტრალურ ნერვულ სისტემაში შეღწევის უნარით აღჭურვეს, მსგავსად ცოფის ვირუსისა. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი იწვევს მენინგოენცეფალიტს, აუვლის რა, გვერდს ჰემატო-ენცეფალურ ბარიერს, რომელიც ცენტრალურ ნერვულ და სისხლის მიმოქცევის სისტემებს გამოყოფს. რაკიღა ეს ბარიერი ხელს უშლის სამკურნალო პრეპარატების შეღწევასაც, სწავლულებმა შექმნეს ნანონაწილაკები, რომლებიც ცოფის ვირუსის ცილით დაფარეს. სწორედ ეს ცილა ეხმარება ვირუსს, შეაღწიოს ნერვულ უჯრედებში. ნაწილაკები, სამკურნალო პრეპარატებით, ოქროსგან დაამზადეს და ისეთივე ფორმა მისცეს, როგორიც ვირუსს. კვლევები სწავლულებმა ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს. შედეგი დადებითი აღმოჩნდა – ცხოველებს სიმსივნის ზომა შეუმცირდათ.

მიწის ჭამა უსაფრთხოა?

ინდოელი მამაკაცი მიწის ჭამას მიეჩვია და ამტკიცებს, რომ უკვე 20 წელია, დღეში კილოგრამზე ნაკლებს არ მიირთმევს. ამის მიუხედავად, არაფერი დამართვნია და თავსაც მშვენივრად გრძნობს. პირველად მიწა 28 წლისამ გასინჯა და მერე ეს ჩვევად ექცა. არის დღეები, როცა ის მთლიანად უარს ამბობს ნორმალურ საკვებზე და მხოლოდ მიწით საზრდოობს. მამაკაცი ამტკიცებს, რომ ასეთი უცნაური დიეტა მის ჯანმრთელობას არ ვნებს. მიწის ჭამას გეოფაგია ჰქვია და ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული. მაგალითად, გაბონში, კამერუნსა და ეკვატორულ გვინეაში თიხოვან მინერალს – კაოლინიტს მიირთმევენ, რომელსაც პილ-პილით და კარდამონით კმაზავენ. ჰაიტიზე შიმშილს ტალახის, მარილისა და ბოსტნეულის ღვეზელებით იკლავენ. ინდონეზიაში კერძი „ამპო“ – ბრინჯის მინდვრებიდან აღებული მიწით ცხვება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.